619
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№10 ოქტომბერი 1959




ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

## დიდება!

აღსრულდა, რასაც გონება
გაჩენის დღიდან ელოდა,
მთვარეზე ასვლა ეს არის
მშვიდობის უძლეველობა.

ეს შრომის აღმაფრენაა,
თავს რომ სიკეთე დაჰხარის,
ეს ხალხთა ბედნიერების
დასაწყისია ახალი.

ეს ყველას გამარჯვებაა,
ვისაც ფიქრი აქვს კეთილი,
ამ მიღწევაში მსოფლიო
სწრაფვაა გამოკვეთილი.

ჩანართის ფერად გვერდებზე —
თბილისის ხედები

# მ შ ვ ი დ ო ბ ი ს   მ ი ს ი ა



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა დაამთავრა თავისი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც საბჭოთა მთავრობის მეთაური იმყოფებოდა პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის მიწვევით.

მშვიდობის მისია—ასე უწოდეს ჩვენი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს მილიონობით კეთილი ნების ადამიანებმა ნიკიტა სერგის ძის ამ მოგზაურობას.

ვაშინგტონში თუ ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელოსა თუ სან-ფრანცისკოში, ფერმებში თუ ქარხნებში, ყველგან გულმხურვალედ მიიღეს ნ. ს. ხრუშჩოვი. ამით ამერიკელმა ხალხმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სურს მშვიდობა, გულწრფელი თანამშრომლობა საბჭოთა ხალხთან.

«სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეთანხმდნენ, რომ ყველა მოუწესრიგებელი საერთაშორისო საკითხი უნდა გადაიჭრას არა ძალის გამოყენების გზით, არამედ მშვიდობიანი საშუალებებით. მოლაპარაკების გზით».

აი, სიტყვები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კომუნიკედან, აი, ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის ყველაზე სასურველი შედეგი.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (99) ოქტომბერი, 1959 წ.

გამოცემის 1[illegible] წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისელი მილიონერები 2

ჩინელ და ქართველ მეცნიერთა მეგობრობა 5

250 წლის შემდეგ 6

მიხეილ მრევლიშვილი
მწუხრის სიმღერა 9

1381 მილი ავტობუსით 11

პოლიკარპე კაკაბაძე 14

მესხი მესტამბე 15

100 წლისთავი კ. ხეთაგუროვის დაბადებიდან 16

დედაქალაქში 18

სპორტული ქრონიკა 19

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# თბილისი უცქერდა ხელოვნურ კომეტას

გივი კვირკველია

ხელოვნურ თანამგზავრებზე დაკვირვების ვიზუალურ-ოპტიკური სადგურის გამგე

არის თარიღები, რომლებსაც არასოდეს დაივიწყებს კაცობრიობის ისტორია. ასეთი თარიღების რიცხვს ეკუთვნის 1959 წლის 12 სექტემბერი, როდესაც გაშვებული იქნა საბჭოთა მეორე კოსმოსური რაკეტა, რომლის გზა უდიდესი სიზუსტით იქნა გამოანგარიშებული. რაკეტამ 1959 წ. 14 სექტემბერს 0 ს. 2 წუთ. 24 სეკ. მოსკოვის დროით მიაღწია მთვარეს; რაკეტა იყო მრავალსაფეხურიანი და მისთვის მეორე კოსმოსური სიჩქარის მიცემა შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის გასცილდა დედამიწის ატმოსფეროს.

რაკეტამ მოძრაობის გზაზე გამოაფრქვია ნატრიუმის ღრუბელი — „ხელოვნური კომეტა", მაშინ როდესაც ის ჩვენგან დაახლოებით 150 000 კილომეტრზე იმყოფებოდა. ამ „ხელოვნური კომეტის" შექმნას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა — ერთი — კომეტის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრით შეიძლებოდა რაკეტის ორბიტის დაზუსტება და მეორე, ნატრიუმის ღრუბლის გაფართოების სიჩქარის ზუსტად დადგენა საშუალებას მოგვცემდა დაგვეზუსტებინა იმ სივრცის სიმკვრივე, სადაც წარმოიშვა ეს ღრუბელი (სინამდვილეში ხომ აბსოლუტურად უჰაერო სივრცე არ არსებობს). ამისათვის საჭირო იყო გადაგველო ნატრიუმის ღრუბლის წარმოშობის მომენტში მისი სურათი, სადაც გამოსახული იქნებოდა ღრუბლის განვითარების პროცესი დროის მიხედვით.

ამ მიზნით ჩვენ მიღებული გვქონდა სპეციალური შუქძლიანი ასტროგრაფები სათანადო ფილტრებით. ჩვენთვის წინასწარ ცნობილი იყო რაკეტის გაშვების მოსალოდნელი დრო და დაახლოებით კოორდინატები ღრუბლის წარმოშობის ადგილისა. საჭირო იყო იარაღის წინასწარი გამოცდა, ფილტრების შერჩევა, ექსპოზიციის განსაზღვრა და სხვა.

საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები გადაღებისათვის სამხრეთის ობსერვატორიებს ჰქონდათ. მაგრამ გადაღება ყველგან შეუძლებელი იყო. ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე ორი იარაღი იყო დადგმული — ერთი თბილისში და ერთი — აბასთუმანში. ჩრდილოეთის ობსერვატორიებისათვის ღრუბლის მდებარეობა ჰორიზონტის მახლობლად იყო და ამიტომ დაკვირვებებისათვის ის თითქმის მიუწვდომელი ხდებოდა. ეს გარემოება ჩვენ პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ზრდიდა. საჭირო იყო დაკვირვების მაღალხარისხოვნად შესრულება, მისი დროული დამუშავება და შედეგების დროული მიწოდება სათანადო ცენტრისათვის. ალბათ, გახსოვთ რაკეტის გაშვების წინა დღეებში თბილისში ცუდი ამინდები იყო, რაც ძლიერ გვიშლიდა ხელს იარაღის წინასწარ გამოკვლევაში და დაკვირვების ჩაშლის საშიშროებას ქმნიდა. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, დაკვირვების საღამო თბილისში მოწმენდილი აღმოჩნდა — თითქოს და ბუნებამაც იგრძნო ამ დიდი მოვლენის მნიშვნელობა და, როგორც იტყვიან, ცამ კარები გახსნა. ის რაც წინა კვირის განმავლობაში უნდა გაგვეკეთებინა, ახლა ორი საათის განმავლობაში უნდა მოგვესწრო. უნდა აღინიშნოს მთელი კოლექტივის დაუღალავი შრომა, რამაც უზრუნველყო დასახული ამოცანის პირნათლად შესრულება (ასტრონომიის კათედრის დოცენტი მ. კოლხიდაშვილი, უფროსი ლაბორანტი გ. ქევანიშვილი და ფიზიკის ფაკულტეტის უფროსი ლაბორანტი გ. შერეზადაშვილი).

და აი, კომეტის გამოჩენამდე მხოლოდ ნახევარი საათი დარჩა, როდესაც საბოლოოდ დაზუსტდა ყველა წინასწარი საჭირო მონაცემები და იარაღი მოყვანილ იქნა „საბრძოლო მდგომარეობაში". ყველამ მიიღო სათანადო ინსტრუქციები და დაიწყო დაკვირვება.

ახლა ძნელია იმის გადმოცემა, თუ რას განიცდიდა თვითეული ჩვენგანი, მაგრამ ყველაზე მეტი განვიცადეთ მაშინ, როდესაც ნატრიუმის ღრუბელი ასტრონომიულ ჭოგრში დავინახეთ — რამდენიმე ხნით თითქოს გამოვეთიშეთ მიწიურ სამყაროს და სულ სხვა, ჩვენთვის უჩვეულო გარემოში მოვხვდით. ჩვენ თვალწინ კიაფობდა ადამიანის ხელით რამდენიმე ათეულ ათას კილომეტრის მანძილზე შექმნილი „ხელოვნური კომეტა". მას მოწითალო ფერი ჰქონდა. პირველად მისი სიკაშკაშე თანდათან იზრდებოდა. გაუჩნდა კიდევაც კომეტის მაგვარი პატარა კუდი, შემდეგ იწყო გაფართოება და დაშლა. ვუმზერდით ამ მოვლენას, საჭირო იყო მთელი გონების მაქსიმალური დაჭიმვა რათა შეუცდომლად შეგვესრულებინა ჩვენი მოვალეობა. თვალით ნატრიუმის ღრუბელს ვუმზერდით და ხელებით კი ვაწარმოებდით განუწყვეტელ გადაღებას სათანადო აპარატურით.

და აი, დამთავრდა დაკვირვება და აბსკების გამომჟღავნებამდე საჭირო იყო ვიზუალური დაკვირვების შედეგების შეტყობინება სათანადო ცენტრისათვის. ორი წუთის შემდეგ ჩვენი შედეგი ეცნობა მოსკოვს ტელეფონით. აქაც სიხარული გველოდა. მოსკოვმა მოგვილოცა, რომ თბილისმა პირველმა აცნობა ნატრიუმის ღრუბელზე დაკვირვების შედეგები. კიდევ რამდენიმე წუთი და აბსკების დამუშავებაც დამთავრდა. ორ აბსკზე აღმოჩნდა ღრუბლის გამონასახთა ათი კადრი, სადაც გარკვევით ჩანდა ღრუბლის განვითარების პროცესი ე. ი. ჩვენი სურათები არა მარტო საშუალებას გვაძლევდნენ განგვესაზღვრა ღრუბლის წარმოშობის მომენტი და მდებარეობა, არამედ მეორე ამოცანაც წყდებოდა, ვგებულობდით — მისი განვითარების სიჩქარეს. კვლავ ეცნობა მოსკოვს სურათების წინასწარი დამუშავების შედეგი. მეორე დღეს კი თვით სურათები გაეგზავნა უფრო დეტალური დამუშავებისთვის (უფრო სწორად, მოსკოვში გაიგზავნა ნეგატივები, რადგან ასტრონომიული გამოკვლევისათვის გამოსადეგია მხოლოდ ნეგატივები და ისიც ორიგინალური.).

როგორც მოსკოვიდან შეგვატყობინეს, საბჭოთა კავშირის შვიდი ობსერვატორიიდან, სადაც მოხდა ნატრიუმის ღრუბელზე დაკვირვება, დაკვირვების შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე იმყოფება აბასთუმნის ობსერვატორია და თბილისის სადგური.



# თბილისელი მილიონერები

თბილისში მრავალი მილიონერი ცხოვრობს. იმ მილიონერებისაგან განსხვავებით, რომელთა მილიონები სხვისი შრომითა და ოფლით არის დაგროვებული, ჩვენმა „მილიონერებმა" თავისი მილიონები პატიოსანი შრომითა და გარჯით მოიპოვეს და არც ბანკების სეიფებში შეუნახავთ, არამედ ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად მოახმარეს.

ჩვენში ცნობილია „მილიონერი" მფრინავები, მილიონობით კილომეტრი რომ უფრენიათ, „მილიონერი" მძღოლები და ორთქლმავლის მემანქანეები... თბილისელმა ტრამვაის მძღოლმა ალექსი ჯავახიშვილმა მილიონ კილომეტრზე მეტი ატარა ტრამვაის ვაგონი თბილისის ქუჩებზე... მაგრამ, ამჯერად, ჩვენ გვინდა გიამბოთ იმ თბილისელ მუშებზე, რომელთაც მილიონობით მიაწოდეს მოსახლეობას თავისი ხელით დამზადებული პროდუქცია და რომელთა ნაწარმს თქვენ ყოველდღიურად ხედავთ.

20 მილიონი



20 მილიონი



## თამარ როსტიაშვილი

ნავთლუღში, პურის მეორე ქარხანაში, მუშაობს მეღუმელე თამარ როსტიაშვილი. მალე ათი წელიწადი შესრულდება, რაც თამარი პურს აცხობს ამ უშველებელი მანქანის საშუალებით, რომელიც ერთით თუ გავს თონეს — აქაც საკმაოდ ცხელა... მაგრამ, თუ იქ, თავის მშობლიურ სოფელ ჩაილურში თამარი ორ-სამ ფუთ პურს აკრავდა გავარვარებულ თონეში, აქ მისი ხელიდან ცვლაში 7-8 ტონა პური გამოდის, ხოლო იმ წლების განმავლობაში რაც იგი „ХВЛ"-ის სისტემის პურისსაცხობ ღუმელთან დგას, მას უკვე 20 მილიონ კილოგრამზე მეტი პური აქვს გამომცხვარი.

## ვენერა ხევსურიშვილი

დუშელ ქალიშვილს ვენერა ხევსურიშვილს თავისი „კაპიტალის შესაქმნელად" დიდი დრო არ დაჭირვებია. სულ ორი წელიწადია, რაც ვენერა თბილისის № 1 თამბაქოს ქარხანაში მუშაობს პაპიროსის დამტენ ოსტატად. პატარა დაზგა, რომელსაც იგი მართავს განუწყვეტლად მუშაობს და ამ ორი წლის განმავლობაში ვენერამ უკვე ოციოდე მილიონი პაპიროსი გამოუშვა.

80 მილიონი

18 მილიონი





ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიხეილ ლალიძე

მიტროფანე და მიხეილ ლაღიძეების მიერ დამზადებულმა ხილეულის წყალმა შორს გაითქვა სახელი. „ლაღიძის წყალი" თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა გახდა. ამ შესანიშნავი სასმელის შემქმნელი ღრმად მოხუცებული მიტროფანე ლაღიძე და მისი ხანდაზმული ძმა მიხეილი მრავალი წლის განმავლობაში უდგნენ სათავეში ქარხანას, რომელიც ხილეულ წყლებს ამზადებს; დღესაც თუ უალკოჰოლო სასმელების თბილისის ქარხანას ეწვევით და საკუპაჟო საამქროში შეიხედავთ, ნახავთ თუ როგორი ყურადღებით და მონდომებით ამზადებს ხილეულ შაქარწყალს მიხეილ ლაღიძე. 60 წელია ამ ქარხანაში მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში მისი ხელიდან 80 მილიონ ბოთლზე მეტი ხილეული წყალი, ბურახი და სხვა უალკოჰოლო სასმელი გამოვიდა... დღეს მოხუც ოსტატს გვერდში უდგანან მისი მოწაფეები საამქროს კუპაჟისტი შოთა გიორგობიანი, საკუპაჟო საამქროს ოსტატი ალექსანდრა ლორთქიფანიძე, სხვა მრავალი მოწაფე და საქმის გამაგრძელებელი...

## მარო კობაიძე

ალბათ, ვერც ერთი გამოცდილი მერიქიფე ვერ შეედრება მარო კობაიძეს ჩამოსხმული ღვინის რაოდენობაში. სამტრესტის ღვინის პირველ ქარხანაში მრავალი „მილიონერია" — მაგრამ მარო კობაიძეზე მეტი ღვინო არავის ჩამოუსხამს. თორმეტი წელიწადია იგი დგას დაზგასთან, რომელიც განუწყვეტლივ ავსებს ბოთლებს „წინანდლისა" თუ „ნაფარეულის" ღვინით. წელიწადში 1.5 მილიონი ბოთლი ღვინო — 12 წელიწადში კი, რაც მარო ამ დაზგასთან მუშაობს მას 18 მილიონზე მეტი ლიტრი აქვს ჩამოსხმული.



10 მილიარდი

## აბრამ ქოქრაშვილი

თბილისელ „მილიონერთა" შორის ისეთებიც არიან, რომელთა გამოშვებული პროდუქცია უკვე მილიონობით ვერ აღირიცხება — მათ შორის არის „მილიარდერი" აბრამ ქოქრაშვილიც. თბილისის თამბაქოს ფაბრიკა №1-ში აბრამი 27 წელიწადი მუშაობს, ახლა იგი საგილზო აგრეგატის მექანიკოსი მარეგულირებელია და ოც დაზგას ემსახურება, რომლებიც დღეში 2 მილიონ პაპიროსს ამზადებენ. ქარხანაში მუშაობის განმავლობაში აბრამმა 10 მილიარდ ცალზე მეტი პაპიროსი გამოუშვა — რაც მთელი ამ ქარხნის 2 წლის პროდუქციას უდრის.

37 მილიონი



## შაქრო ამუზოვი

როდესაც საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის მთავარ ინჟინერს ეროშევს შევეკითხეთ იმ მუშების შესახებ, რომელთაც მილიონ აგურზე მეტი დაამზადეს ქარხანაში მუშაობის განმავლობაში, აღმოჩნდა რომ ასეთი მუშები მრავლად არიან, მაგრამ იმდენი აგური, რამდენიც მწნეხავებმა მურმან მგალობლიშვილმა და შაქრო ამუზოვმა დაწნეხეს — არავის დაუმზადებია — თუ ვიანგარიშეთ, რომ თვითეული მათგანი დღეში 15.000 აგურს ამზადებს — აღმოჩნდება, რომ მგალობლიშვილს 20 მილიონი აგური დაუმზადებია, ხოლო ამუზოვს 37 მილიონი.

შაქრო სულ მეცხრე წელიწადია რაც ჩამოვიდა ვაშლოვანიდან, მაგრამ ამ წლების განმავლობაში მის მიერ დამზადებული აგურით შეიძლებოდა ერთი სარაიონო ცენტრის აგება... თუმცა, რატომ „შეიძლებოდა"? როდესაც ამ აგურითაა აშენებული საბურთალოს რამდენიმე ახალი კვარტალი.

## ნინო ასლამაზაშვილი

თბილისის მაკარონის ფაბრიკის მშრომელის ნინო ასლამაზაშვილის მიერ გამოშვებული პროდუქციის აღრიცხვა არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა... ადრე, ნინოს 14 წელიწადი კამფეტის ფაბრიკის ოსტატად უმუშავნია და 15 მილიონი კილოგრამი კარამელი დაუმზადებია, ხოლო უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში მაკარონის ქარხნის მშრომელად მუშაობს და 72 ათასი ტონა მაკარონი აქვს გამოშვებული.

## ლუბა ლეჟავა

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გამომყვან საამქროს იმ განყოფილებაში, რომელსაც ქვეოსტატი ვახტანგ ჩაფჩიძე აგერ უკვე 20 წელიწადია ხელმძღვანელობს, 20 წელიწადია „პალმერის" სისტემის დაზგასთან, დგას, ახლა უკვე ხანშესული მაღალი ქალი — ლუბა ლეჟავა და თვალმოუშორებლად, ყურადღებით აცქერდება მატერიის უსასრულო ზოლს, რომელიც მის წინ ეხვევა დაზგის დოლზე. ამ დაზგიდან რომელიც საბოლოოდ ამუშავებს და აუთოვებს მატერიას, გამოსული სამი მილიონი მეტრიდან არც ერთი მეტრი დუბლსატინი, ატლასი თუ სარჟა არ დაუბრუნებია უკან წუნმდებელს.



72 მილიონი





3 მილიონი

# თბილისელი მილიონერები

მერაბ მელითაური

ფოტო გურამ თიკანაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერთა მეგობრობა

თედო კემელავა, გიორგი ლომინაძე

ჩინელ და ქართველ ხალხთა შემოქმედებით ურთიერთობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი განსაკუთრებით ფართო და მტკიცე გახდა 1949 წლიდან — მას შემდეგ, რაც 600 მილიონიანმა ჩინელმა ხალხმა თავის ხელში აიღო ძალაუფლება და ჩინეთში სახალხო რესპუბლიკა შექმნა.

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომისიის გადაწყვეტილებით, 1956 წელს ჩინეთში მივლინებული იყო ქართველი სპეციალისტების ერთი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: უფროსი მეცნიერი თანამშრომლები — ს. ფირცხალაიშვილი, კ. ჯმუხაძე, ვ. გალდავაძე, აგრონომები — ა. ქუთათელაძე და ა. გოგელია. ისინი უნდა გაცნობოდნენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდგომარეობას ჩაის კულტურისა და მრეწველობის დარგში, შეესწავლათ ჩინელ მეჩაიეთა გამოცდილება და გაეზიარებიათ საქართველოს სს რესპუბლიკის მიღწევები ჩაის აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში.

ქართველ სპეციალისტთა ჯგუფმა 2 თვე იმოგზაურა ჩინეთის მეჩაიეობის ძირითად რაიონებში, სახელდობრ: ჯეძიანის, ფუძიანის, ანხოის, ხუნანის და ხუბეის პროვინციებში და გაეცნო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სახელმწიფო მეურნეობების, ჩაის კოოპერატივების, ფაბრიკებისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მუშაობას.

ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით ქალაქ ხანჯოუში მოეწყო მეჩაიეობის საკითხებზე რესპუბლიკური თათბირი, სადაც განხილული იყო საკითხები ჩაის კულტურის შემდგომი განვითარებისა და სამეცნიერო კვლევების გაფართოების შესახებ. თათბირის მასალები გამოქვეყნდა ჟურნალ „ჯუნგო-ნუნბაოში“ („ჩინეთის სოფლის მეურნეობა“), რომელიც აღნიშნავდა, საბჭოთა სპეციალისტების შენიშვნებსა და გამოცდილებას დიდი ღირებულება აქვსო.

ანასეულის ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ტექნოლოგიის განყოფილების გამგის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ხარებავას ცნობით, რომელიც ჩინეთში იყო მივლინებული, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყველაზე მაღალხარისხოვანი შავი ჩაი კიმინია, იგი მზადდება კიმინის ჯიშისაგან, რომელიც გავრცელებულია ანხოის პროვინციის სამხრეთ ნაწილში და ციაძის პროვინციის ფულიანის რაიონში.

ჩინელები დიდი ინტერესით ეკიდებიან და სწავლობენ საბჭოთა კავშირის ტექნოლოგთა და ბიოქიმიკოსთა შრომებს და მათ მიღწევებს ჩაის ტექნოლოგიაში. ქართველმა ტექნოლოგებმა კიმინის ჩაის ფაბრიკაში ჩაატარეს ჩაის ფოთლის საჩვენებელი გადამუშავება საქართველოში დანერგილი წესის მიხედვით. ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩაის წარმოების მუშაკებმა, უნჩანის უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა. ჩაის ნედლეულის საჩვენებელი გადამუშავებით მიღებულ მზა პროდუქციას ჩინელმა ტიტესტერებმა მაღალი შეფასება მისცეს.

ჩინელ სპეციალისტთა დახმარებით 1952 წელს კიმინის რაიონში დამზადდა კიმინის ჯიშის ჩაის თესლი. ამ თესლით 1953 წელს ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (მახარაძის რაიონი) გაშენდა ჩაის პლანტაცია. გამოირკვა, რომ კიმინის ჯიშის ჩაი საუკეთესოდ ეგუება დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ პირობებს და იძლევა მაღალხარისხოვან პროდუქციას.

ჩაის კულტურისა და მრეწველობის ჩინელ და ქართველ მუშაკთა შორის დამყარებული საქმიანი კავშირი და მეგობრობა დღესაც გრძელდება. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგროტექნიკის განყოფილების გამგეს ს. ფირცხალაიშვილს მიმოწერა აქვს პროფესორ ცვიაო-ჩი-იუანთან, მეცნიერ თანამშრომელ სიუი-ციუნ-ცისთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებთან იუი-ტინ-ძისთან, ში-ცი-ძუსთან და სხვებთან. ამ მიმოწერაში გამოხატულია უდიდესი მეგობრული გრძნობა, შესანიშნავი სამახსოვრო მოგონებანი ჩინეთზე.

სოხუმის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილებამ პეკინის ბოტანიკურ ბაღიდან 1957 წელს მიიღო ასი სახეობის თესლი, რამაც შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოს კულტურული დენდროფლორის გამდიდრებას. ამავე ბაღმა 1958 წელს სოხუმის ბოტანიკური ბაღის თხოვნით გამოგზავნა 115 სახეობის მცენარის თესლი, მათ შორის სუბტროპიკულ მცენარეთა ისეთი ჯიშებისა, რომლებიც დიდი ხნის წინათ იყო შემოზიდული დასავლეთ საქართველოში და უკვე აკლიმატიზებულია. სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა მოაწყო ამ ახლად მიღებულ არა აკლიმატიზებული მცენარეების საცდელი ნათესები, პარალელურად უკვე აკლიმატიზებულ იმავე ჯიშის მცენარეებთან. ეს მეთოდი სოხუმის ბოტანიკურ ბაღს შესაძლებლობას აძლევს უფრო ღრმად შეისწავლოს სუბტროპიკულ მცენარეთა აკლიმატიზაციის პრობლემა.

1958 წელს სოხუმის და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებს და ბოტანიკის ინსტიტუტს ეწვია სამხრეთ ჩინეთის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ჩენ-ხუან-იუნი. პროფესორი ჩენ-ხუან-იუნი დიდი ინტერესით გაეცნო ბოტანიკის ინსტიტუტის, ბაკურიანის ბოტანიკური ბაღისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღის მუშაობას.

მრავალი ჩინელი ასპირანტი გადის საასპირანტო კურსს საქართველოს ბოტანიკურ დაწესებულებებში. სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა მეგობრული დახმარება გაუწია ასპირანტ ჯან-ძინ-ტანს მისი სადისერტაციო შრომის მასალების შეგროვებასა და დამუშავებაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტის ასპირანტი იან-ფინ-სანი მიმდინარე წელს მუშაობდა ბოტანიკის ინსტიტუტში, სადაც მან მიიღო კონსულტაცია მცენარის საფარის გეოგრაფიაში. იგი გაეცნო ინსტიტუტის, შირაქის სტაციონარისა და ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის მუშაობას.

დიდად დაინტერესდნენ ჩინელი მეცნიერები სოხუმის ბოტანიკური ბაღის განყოფილების გამგის პროფესორ ა. კოლაკოვსკის კვლევით. აი რას წერს ძენხუანის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი პალეობოტანიკის დარგში ფანგ-ვენ-პეი პროფესორ ა. კოლაკოვსკის: „გავიგე, რომ თქვენ მუშაობთ აფხაზეთის პლიოცენის ფლორაზე და გესაჭიროებათ შედარებითი შესწავლისათვის ხისა და ბუჩქების ფოთლები სუბტროპიკული და ტროპიკული რაიონებიდან. გიგზავნით რამდენიმე სახეობის მარადმწვანე მცენარეების ფოთლებს და კიდევ გამოგიგზავნით სხვა მცენარეებისას ზაფხულის განმავლობაში. მუდამ მზად ვარ ვითანამშრომლო თქვენთან ერთად ბოტანიკურ კვლევებში. თქვენი ერთგული ფანგ-ვენ-პეი“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1958 წელს მივლინებული იყო ქართველი მათემატიკოსი პროფესორი ვ. ჭელიძე. მივლინების მიზანი იყო: ლექციების კითხვა ფუნქციათა თეორიის სპეციალურ საკითხებზე უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ამავე უმაღლესი სასწავლებლების მათემატიკის ფაკულტეტებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციაში კონსულტაციების ჩატარება.

ლექციების მოსასმენად უხანის უნივერსიტეტში ჩამოვიდნენ პეკინის, შანხაის, ნანკინის, ხანჯოუს, ხარბინისა და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერმუშაკები, ფაკულტეტების დეკანები და სხვა. სულ მსმენელთა რიცხვი 100 კაცამდე აღწევდა.

კუნმინის უნივერსიტეტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პატივისცემის ნიშნად გამოუგზავნა ადგილობრივი ჯიშის 100 სხვადასხვა მცენარის ფოთლების ჰერბარიუმი და 15 სხვადასხვა ადგილობრივი ჯიშის ფრინველის ფიტული.

პროფ. ვ. ჭელიძის ჩინეთში ყოფნისას იქ გამოიცა მისი მონოგრაფია, „ზოგიერთი საკითხი ორჯერად მწკრივთა თეორიიდან“ და ლექციების კურსი ფუნქციათა კონსტრუქციულ თეორიაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მრავალი მეცნიერი გეოლოგი, პალეობოტანიკოსი, გეოფიზიკოსი, ასტრონომი და სხვ. ჩამოსულა საქართველოში მუშაობის გაცნობის მიზნით და გამოცდილების მისაღებად.

1958 წელს ქართველ არქეოლოგებს სტუმრად ეწვივნენ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები, პროფესორები: ვან-ბო-ხუნი და ვან-ჩუნ-შუ. სტუმრებმა ხუთი დღე მოანდომეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და გათხრილი ძეგლების დათვალიერებას. ჩინელი არქეოლოგები წინაფეოდალური ხანის არქეოლოგიაში მუშაობენ და ამის გამო მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს მცხეთა და ურბნისი.

1956 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი ინახულა ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმური სამსახურის უფროსმა პროფესორმა ლი-შამ-პანმა. მას აინტერესებდა სეისმური სამსახურის მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში. იგი გაეცნო თბილისის ცენტრალური სეისმური სადგურისა და ინსტიტუტში შემავალი განყოფილებებისა და ლაბორატორიების მუშაობას.

ქართველ მეცნიერთა მთელი რიგი შრომები ითარგმნა ჩინურ ენაზე. ასეთებია: აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის შრომა „მათემატიკური დრეკადობის თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ა. წულუკიძის — „საშარდე და სასქესო ორგანოების ქირურგიული დაავადება“, ა. ჩიქობავას — „ენათმეცნიერების შესავალი“, ლ. დავითაშვილის — „პალეონტოლოგიის კურსი“, ვ. გულისაშვილის — „მთიანი მეტყეობა“, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. ანთელავას — „გულმკერდის ღრუს ორგანოთა ქირურგია“, პროფესორ ი. ხოჭოლავას — „ჩაის ტექნოლოგია“, მეცნიერებათა კანდიდატის ო. ბაკურაძის — „კ. მარქსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბების საკითხისათვის“ და მრავალი სხვა.

სულ უფრო მტკიცე და ფართო ხასიათს ღებულობს ჩინელ და ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითი თანამეგობრობა და სამეცნიერო დაწესებულებების კავშირი.

# 250 წლის ქართული წიგნი



შოთა ვეშაპიძე

მანია მახარაშვილი

შოთა სანაძე

250 წელი გავიდა, რაც თბილისში, ვახტანგ მეექვსის მიერ გამართულ სტამბაში აიწყო და დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი.

საქართველოში პირველი ნაბეჭდი წიგნის გამოცემა მრავალმხრივ იყო საგულისხმო: — 1709 წლამდე ქართული წიგნი მხოლოდ საქართველოს გარეთ ისტამბებოდა. (ქართულ-იტალიური ლექსიკონი — რომი, 1629 წ., დავითნი — მოსკოვი 1705 წელი); მაგრამ რომის კათოლიკური „სარწმუნოების პროპაგანდის" გამოცემებიც და არჩილ მეორის მიერ მოსკოვის სინოდის სტამბაში ქართული წიგნთსაბეჭდავის გამოშვებული წიგნებიც ეპიზოდური ამბავი იყო. ხოლო ვახტანგ მეექვსის სტამბამ დაუდო საფუძველი ქართულ წიგნთა ბეჭდვას, რაც მას აქეთ არ შეწყვეტილა.

მეორე. მეტად საგულისხმო გარემოება ის არის, რომ იმ დროს, როდესაც ვახტანგ მეექვსემ თბილისში სტამბა გააწყო, „საქართველოს არც ერთ მეზობელ ქვეყანაში არ იყო შემოღებული წიგნის ბეჭდვა. ცნობილია, რომ თვით ირანში მეცხრამეტე საუკუნემდე ხელით წერას მიმართავდნენ".

1709 წლის გამოცემულ სახარებას, რომელიც „ა/წ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა"... სამი სახელი აწერია — სტამბის შემქმნელის და მფარველის „შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა, მართლმადიდებლისა და განათლებულისა, საქართველოს განმგებელისა ბატონიშვილისა თვით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა"; გამომცემელ-რედაქტორის: — „გაიმართა წმიდაი ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელ მონაზონისა ორბელის შვილითა და პირველი ქართველი მესტამბის — „ხელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგრო ვლახელისა". ნიკოლოზ ორბელიანი თავის წინასიტყვაობაში წერს ....ვახტანგ იგულომოდგინა და მიიღო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში და ხელით წერაში ჩვენი საღმრთონი წერილნი განრყვნილიყო და მე დედის ძმისწულსა ამა მეფეთსა და მოსამართლეთუხუცის ორბელის ძეს ცოდვილს მღვდელ მონაზონს ნიკოლოზ მიბრძანა წიგნების გასწორება... და ვერ ურჩ ვექმენ. და ეს წმინდა სახარება დიდის ჰირითა ბერძენთა დაბეჭდის სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტ ნაკლები გავმართე და ეს საძიებელი არც ერთ ენაში არ იყო. სიადვილისა და ადრე პოვნისათვის, ახლა მე გავაკეთე"....

ამ მცირე ამონაწერიდან კიდევ ორი საგულისხმო გარემოება ირკვევა: პირველი ქართულ სტამბის მოწყობაში მიხეილ უნგრო-ვლახელის მონაწილეობის შესახებ. ახლა მისი და ანთიმოზ ივერიელის როლი საკმაოდაა გარკვეული ჩვენი მეცნიერების მიერ და, ამგვარად, საბუთველი აეხადა კიდევ ერთ მეტად საინტერესო ფურცელს ჩვენ წინაპართა საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან და მეორე — ის, რომ ვახტანგის სტამბაში გამოცემული პირველი წიგნი არა მარტო სასტამბო-ტექნიკის თვალსაზრისით, არამედ შინაარსითაც — სახელდობრ, სარედაქციო აპარატის — კერძოდ — საძიებლის გამართვით — ნოვატორული იყო იმ დროისათვის...

და, აი გავიდა 250 წელი. — რომ გადავხედოთ საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემულ ცნობარს „ქართულ წიგნს", რომლის სამ ტომში ვრცელი ბიბლიოგრაფიული მასალაა თავმოყრილი, ანდა მრავალრიცხოვან გაზეთის, ჟურნალებისა და წიგნის მატიანეებს, — ჩვენ წინ გადაიშლება ქართველი ერის ისტორია ამ 250 წლის განმავლობაში. მხოლოდ ციფრებსაც რომ დავაკვირდეთ, ქართული წიგნის გამოცემათა რაოდენობა უკვე თავისთავად ახასიათებს იმას, თუ რა მდგომარეობაში იყო ერის კულტურული ცხოვრება ამა თუ იმ პერიოდში. სულ ქართული ბეჭდური წიგნის არსებობის განმავლობაში 50.000 ქართული წიგნია გამოცემული. მათგან 44.000-ზე მეტი საბჭოთა პერიოდში 200 მილიონზე მეტი ტირაჟით.







ქართული წიგნი, ჟურნალი, გაზეთი ღრმად შეიჭრა ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში. — ამავე დროს წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა — ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი გახდა. მარტო 1957 წლის განმავლობაში საქართველოს სტამბებმა გამოუშვეს 1982 წიგნი, რომელთა ტირაჟი 11.171 ათას ეგზემპლარს შეადგენდა. ხოლო ანაბეჭდთა რაოდენობა 129 მილიონს უდრის. ამავე წლის განმავლობაში გამოიცა 100 დასახელების ჟურნალი, კრებული, ბიულეტენი და სხვა პერიოდული გამოცემა, 3.239 ათასი საერთო ტირაჟით. ანაბეჭდთა რაოდენობამ 10 მილიონ 250 ათასი შეადგინა. ამავე წელს გამოიცა 126 დასახელების გაზეთი, რომელთა ერთდროული ტირაჟი — 818 ათას შეადგენდა. თბილისს, ქუთაისს და სხვა ქალაქებს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ყველა რაიონულ ცენტრს აქვს თავისი სტამბა და გაზეთი.

სულ სამი წელი გავიდა მას აქეთ, რაც ნოდარ ნონიაშვილმა თბილისის მესამე საშუალო სკოლა დაამთავრა, დღეს კი იგი უკვე ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის კვალიფიციური ასოთამწყობია, მის მიერ აწყობილი წიგნები მუდამ საუკეთესო ხარისხისაა, გეგმას 130-140 პროცენტით ასრულებს.

სამეტრანპაჟოში დამკაბადონებელი შოთა ვეშაპიძე კრავდა ჟიულ ვერნის „კაპიტან გრანტის შვილების" ფურცლებს. შოთა ვეშაპიძე საამწყობო საამქროს პარტბიუროს მდივანია, მან 1951 წელს დაამთავრა პოლიგრაფსკოლა და მას აქეთ მუშაობს სტამბაში. საამწყობო მოწინავე საამქროა კომბინატში. იგი გეგმებს სისტემატურად 105-110 პროცენტით ასრულებს. გეგმის გადამეტებით შესრულებული ყოველი პროცენტი — კი გეგმის ზევით გამოშვებულ ორ წიგნს ნიშნავს.

საბეჭდ საამქროში ახალგაზრდა მბეჭდავი შოთა სანაძე — „ДПП" საბეჭდ დაზგაზე, რომელიც 10-12 ათას ანაბეჭდს უშვებს ცვლაში, „კომუნისტური პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოს" ბეჭდავდა. დაზგა 1953 წელსაა დამზადებული, შოთამ კი 1954 წელს დაამთავრა პოლიგრაფსკოლა და მას აქეთ ორივენი ბეჭდავენ ქართულ წიგნებს...

საამკინძაო საამქროში, სადაც უკვე წიგნი დასრულებულ სახეს იღებს, ირთვება და იკაზმება მრავალი ახალი წიგნი. იყო: „ვეფხისტყაოსნის" რუსული და ქართული გამოცემები, რომელიც 25.000 ცალია დაბეჭდილი, დეფოს „რობინზონ კრუზო" — 30.000 ცალი, საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორია 50.000 ცალი, აკაკი წერეთლის თხზულებათა კრებულის მეშვიდე ტომი, ერკმან შატრიანის — „გლეხკაცის ისტორია", თვალაძის „ანატომიის ატლასი"... მკინძავი მანია მახარაშვილი, რომელიც უკვე 28 წელია მუშაობს აქ, ლიდერინის ყდაში სვამდა წიგნებს...

წიგნების ტირაჟის ნაწილი ჯერ კიდევ სტამბაში იყო. საქწიგნის № 17 მაღაზიაში — თაროებზე კი უკვე ნახავდით „რობინზონ კრუზოსაც", „ანატომიის ატლასსაც", თუმცა ამ მაღაზიაში წიგნები დიდხანს არ რჩებიან თაროზე. მაღაზიის გამგე თინა ვახაძე და გამყიდველი ნათელა გეჯაძე ვერც კი ასწრებენ წიგნების მიღებას, მყიდველები დიდხანს არ სტოვებენ მათ თაროებზე და განა მარტო, თბილისის ცენტრში მოთავსებულ ამ მაღაზიაშია ასეთი ამბავი? საქართველოს შორეული სოფლებიც რომ მოიაროთ, ახალ წიგნს ყველგან მოუთმენლად ელიან.

ერთ-ერთ ასეთ მოუთმენელ მკითხველსა და შესანიშნავი ბიბლიოთეკის პატრონს პენსიონერ მასწავლებელს შალვა ბერულავას ვესტუმრეთ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში. შალვა რამდენიმე ახეული მანეთის წიგნებს იძენს ყოველწლიურად. გამოწერილი აქვს ყველა ქართული ლიტერატურული ჟურნალი... საუკეთესო ბიბლიოთეკები აქვთ ამავე რაიონის მკვიდრებს პეტრე გულუას, კოტე ქვარცხავას და მამონტი კვირტიას.

**კობა ჭალასყურელი**

ფოტო ნარიმან ერქომაიშვილისა



ნოდარ ნონიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თინა ვახაძე



შალვა ბერულავა



პოლიგრაფიული ტექნიკუმის სტუდენტები



ნახატი ა. ბანძელაძისა

შენ მაშინდა მოხვედი ჩემთან, როცა აღარავის აღარ ველოდი, სრულიად არავის.

იმხანად შემოდგომა იდგა.

მე არც შემოდგომას ველოდი ჭერჭერობით, მაგრამ ის მაინც მოვიდა და ჰაერში დაურთავი აბრეშუმის მსგავსი ძაფები დაჰკიდა.

— შეხედეთ! — გულუბრყვილო ღიმილით მომმართე შენა და მამადავითზე მიმითითე, — მთაწმინდაზე ბუჩქები შეყვითლდა...

შევკრთი და უნებლიეთ სარკისაკენ გავაპარე თვალი. ჩემი შევერცხლილი თმა შემოდგომის ფერნაცვალ გარემოს ჰგავდა.

— მართალია... გუშინ უფრო ადრე დაღამდა და დღეს უფრო გვიან გათენდა. — დაგიდასტურე სიტყვა და ნაძალადევად გავიღიმე.

ეტყობა, ეს ღიმილი ტკივილად შეიგრძენ, რადგან თვალებში თანაგრძნობის შუქი აგიციმციმდა.

— ცუდად ხომ არა ხართ? — მკითხე შეშინებული ხმით და ხელი ჰიქისაკენ წაიღე.

იმ დილით უბრალო ჩითის კაბა გეცვა, იასამნის ყვავილებით მოხატული კაბა. ის მშვენივრად ეხამებოდა შენს ლურჯასა და ოდნავ დაბურუსებულ თვალებს, მხრებზე გადმოყრილ ოქროსფერ კულულებსა და მიმქრალ გამოხედვას.

„მთელი სიცოცხლის განმავლობაში გელოდი და აი, გიპოვნე". გავიფიქრე და გალიცლიცებული ჰიქა ჩამოვართვი. მერე სივრცითა და სინათლით სავსე სახელოსნოში მიგიწვიე.

მხატვრის სახელოსნოს ფართო სარკმლიდან კარგად მოჩანდა მწვანეში ჩაფლული და ჩვეულებრივ აქოთქოთებული ქალაქის ნაწილი, გადაღმა ეზოში ცადაწვდილი ალვის ხეები და შტოებში შერჩენილი, დაცარიელებული და გაპარტახებული რომელიღაც ფრინველის ბუდე.

შენ ჩემს ნაოხტატარს მიუბრუნდი და ხარბად დაუწყე თვალიერება. ვგრძნობდი, ზოგი მოგწონდა და ზოგი არა. ათვალიერებდი კედელზე ჩამოკიდებულ, მძიმე ჩარჩოებში ჩასმულ, უცნობთა სახეებს, ტილოზე გადატანილ ბუნების ხედებს. სინზე დაყრილ ხილსა და ქაღალდზე დაღვრილ ფერადებს.

ბოლოს ერთი დაუმთავრებელი სურათის წინ გაჩერდი და ალტაცებით წაიჩურჩულე:

— შიშველი ფერია ტალღების ზღვაში!

ამ წამოძახილმა მომიყვანა შენთან და მეც იმ მივიწყებულ სურათს დავხედე. „ოცნება" მიმეწერნა ოდესღაც სურათისათვის ბოლოში. გამეცინა. დიდი ხნის მინაწერი იყო და წარწერა გულუბრყვილოდ მეჩვენა. იქვე მიგდებული ფუნჯი მოვიმარჯვე და მინაწერი წავშალე. წანაშალის ლაქა ნაიარევივით დააჩნდა სურათს.

— რათა? — შემეკითხე ბავშვური ცნობისმოყვარეობითა და თითქმის წყრომით.

— გეტყვი, — გიპასუხე და თრთოლვით ჩამოვიალხარებე სათქმელი. — ამ სურათს მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვხატავდი. და აი, ხედავ, ვერ დავასრულე. რათა?.. იმიტომ, რომ ოცნება იყო, ოცნებას კი დასასრული არა აქვს. გარდა ამისა, არ ვიცი, ჩემი ოცნება დაშორდა სინამდვილეს თუ სინამდვილე დაშორდა მას, მაგრამ მე მაინც მისკენ ვისწრაფოდი. ალმართს მიმავალი მისკენ ვილტვოდი, ვეძებდი და ვერ ვპოვე. დაღმართს მომავალი მასვე შევნატროდი კვლავ უცნობსა და უხილავს.

## მიხეილ მრევლიშვილი

(თბილისური ნოველებიდან)

აქ გავწყვიტე სათქმელი და თვალებში ჩაგხედე. შენ მზერა ამარიდე და სარკმლისაკენ გაიწიე.

— ის კი, აი როგორი ყოფილა, სრულიად უბრალო და სრულიად სადა! — დაგადევნე უკან ალხარების ბოლო სიტყვები.

არ ვიცი, ალვის ხეების შრიალმა დაჰფარა ჩემი ნათქვამი და ვერ გაიგონე, თუ ქალური ეშმაკობა იხმარე და პასუხი ბანზე ამიგდე.

სარკმელთან მისულმა ეზოს გადახედე, ალვის ხეებს თვალი შეავლე, მერე მომიბრუნდი და საქმიანი კილოთი მკითხე:

— დავიწყოთ?

„დავიწყოთ-მეთქი", ულონოდ გიპასუხე და ახალი ტილოს დაჭიმვას შევუდექ.

კუთხეში მიყრძილი ქოთნების ხმაურმა და სავარძელზე გადაკიდებული კაბის შრიალმა შემომაბრუნა.

შემოგხედე და ბავშვივით დავიბნე.

სარკმელთან, კუთხეში, იმ ჩემი მივიწყებული სურათიდან გადმოფრენილი და ხორცშესხმული, ტანშიშველი ფერია იდგა.

ერთ ხანს გიყურებდი და ვსტკბებოდი.

იყო შენში იმ წუთს რაღაც არაამქვეყნიური და თანაც მიწიერი. ზღაპრული და ადამიანური ორივე ერთად. სრულყოფა და სინატიფე ნაკვთებთა თითქოს მიუკარებელს მალავდა, ხოლო უბიწო მკერდზე უწესრიგოდ ჩამოშლილი ოქროსფერი თმა თავბრუდამხვევ ალერსს და ვნებას.

ფუნჯი მოვიმარჯვე და მოგიახლოვდი, რომ უკეთ გამერჩია მალული ხაზები, მოახლოებისას ზღვის მლაშე ქაფის სურნელება ვიგრძენ.

— ზაფხული ზღვაზე გაატარე? — გკითხე თავშეკავებული ღელვით.

— დიახ, — სადად მიპასუხე, ოდნავ თავდახრილმა და ცივმა.

— საუცხოოა, მაშ შენ მხოლოდ ახლახან ამოხველ ზღვიდან, კარგი? ჰოდა, სიპ ლოდზე წამოწექი და უცადე. ქაფი ზღვის ტალღისა შენს ტანსა ჰბანს, სალამო ხანია და მზე ზღვაში იძირება. შენა და ლოდი ორივე ერთი ხართ, შენა და ლოდი ორივე სველი ხართ. შორს იქნებ გემია და მოდის. ის მეზღვაურია და მოჰყვება გემს. ეს დანარჩენი სურათზე არა ჩანს. აქ მხოლოდ ლოდია, შენა და ზღვა.

ვამბობ ამას და ოთახიდან ბალიშები გამომაქვს. ბალიშებს რუხი ფერის ნოხითა ვფარავ. ვაკეთებ ლოდს.

— მოდი, წამოწექი, — გეუბნები და ჩემს მიერ აკოკოლიკებულ ლოდზე მიგითითებ.

— აქა? — გაკვირვებით მეკითხები და მორჩილად წვები.

შენს წინ ვიჩოქებ. გისწორებ ტანს. მინდა ნაკვთები მკაფიოდ მოჩანდნენ.

— ამ სურათს, ალბათ, „მოლოდინს" დავარქმევ! — ვჩურჩულებ მე და ოდნავ გაპობილი ტუჩებისაკენ მოვიწევ.

— ასე? — მეკითხები გვერდის შენაცვლისას და ტუჩებს მარიდებ.

— დიდებულია, ორივე უსაზღვროა, შენი მოლოდინიც და ზღვის უსასრულობაც! — ვამბობ ალტაცებით და ხარბად დავყურებ შენს მკერდზე მიმალულ პატარა ხალს.

მძიმე წუთებია, მკაფიოდ მესმის ჩემივე გულის ბაგაბუგი. ვებრძვი ჩემს თავს სასტიკად და შეუბრალებლად. შენ გულუბრყვილოდ იღიმები და მხართეძოზე წამოწოლილი მიცდი.

ფუნჯი გადავაგდე და ახლოს მოგიჩოჩდი. თავი გადაიწიე, თვალებში ჩაგხედე და შევკრთი.

არა იყო რა შენს თვალებში ნესტიანი ხიცვის მეტი. ჩანს ჩემი გზნება ვერ აღწევდა შენამდე და იქვე ჩემს თვალწინ, შენი გულგრილობის მორევში ქრებოდა. ახლაღა მივხვდი, რად არა გრცხვენოდა სიშიშვლისა და დაიწყე. ეს უთუოდ ჩემი ჰალარაშერეული შემოდგომის ბრალია-მეთქი, გავიფიქრე და თავზარდაცემული ფეხზე წამოვდექი.

კარგა ხანს იწექი ჩუმად, დამნაშავესავით თავჩაქინდრული, მერე წამოიწიე და ხმადაბლა მკითხე:

— ავდგე? —

თავბრუდამხვევი სითბო იყო ამ ერთ სიტყვაში. ცოლი ბავშვური მორჩილებისა და თხოვნა-პატიებისა. თან ახლობელი და თან მოუწვდომლად შორეული.

მინდოდა მეპასუხნა მკვახედ და უგულოდ: — „უსიცოცხლო სხეულის ხატვა ტანჯვაა-მეთქი", მაგრამ ვერ გავბედე და ესღა გიპასუხე:

— ადექი, თუ გინდა...

ვიგრძენ ესა და საშინელი დაღლილობა ვიგრძენ. სარკმელთან მივედი და რაფას დავეყრდენ. ჰაერი მოვყნოსე და ქალაქს გადავხედე. უდაბნოდ მეჩვენა სიცხით დაბურული. თითქოს დილა იყო და მაინც არ იძროდა. შემოდგომა იდგა და მაინც ცხელოდა. მოწმენდილ ცაზე არა ჩანდა რა, მხოლოდ მთაწმინდასთან ღრუბლებს ამოეყოთ თავი, მზვერავებივით უთვალთვალებდნენ გარემოს და გარინდულნი ბრძანებას ელოდნენ.

აი, წამოვა შემოდგომის წვიმიანი დღეები და ბურუსი დაჰფარავს გარემოს. ჩამობნელდება ჩემს სახელოსნოში და სახურავზე ქარი აცეკვდება. გაშიშვლდება ჩემი სიმარტოვე და სიობლე. შენ კი, გულგრილი თანმიყოლებით იცვამ იასამნის ყვავილებით მოჩითულ კაბას, მოხდენილად ამოსხმულ ქოშებს და წასვლას აპირებ.

ან კი როგორღა გაჩერდები აქ, რა დაგაკავებს, ანდა რა მოგხიბლავს. რა ამოავსებს უფსკრულს ჩვენდა უნებურად შექმნილს. რა დაგვაახლოვებს, რა შეგვაერთებს!..

ტანთ ჩაიცვი და ფეხაკრეფით მომიახლოვდი. გული გამინათლდა, როცა შენი სიახლოვე ვიგრძენ.

გვერდით მედექი და რაღაცას მეტიტინებოდი მორჩილად. ბოდიშს იხდიდი და სწუხდი, რად წამართვი ძვირფასი დრო. გწყინდა, რომ არა არის რა შენში შემოქმედისთვის მიმზიდველი. ამბობდი, რომ თავიდანვე მაფრთხილებდი და მე არ დაგიჯერე. ნანობდი, რად დაჰყევი ჩემს თხოვნას და რად დამრთე ნება შენი დედიშობილა ტანი ტილოზე გადამეტანა ცოცხლად.

უთუოდ არ გესმოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ჩემს გულში და არ იცოდი, რომ ამ მიამიტი ტიტინით მტკივნეულში აფათურებდი შენს ნაზსა და სანთელივით ჩამოქნილ თითებს. ბოდიშს იხდიდი და ამ ბოდიშით სასტიკად მტუქსავდი. ჩემს ტკივილს მხოლოდ გუმანითა გრძნობდი, ჩემს დამშვიდებას ლამობდი და შენდა უნებურად მალამოს მაგიერ იარაში შხამს აწვეთებდი. მე კი სწორედ ეს შენი გულუბრყვილობა მიზიდავდა და მაგიჟებდა.

არა გიპასუხე რა ტკბილად მოუბარს და გაჩუმება ვამჯობინე. დადუმდი შენც. მერე დუმილით თავმობეზრებულმა აფორიაქებულ აზრთასვლის ძაფი კვლავ გამიწყვიტე:

— აგე, ხედავთ, დანგრეული ბუდე! — მხიარულად მომმართე ამ აღმოჩენით გახარებულმა და ალვის ხის შტოებში შერჩენილ, გაპარტახებულ ბუდეზე მიმითითე.

— შემოდგომაა... — ყრუდ გიპასუხე და ყელში მდგარი ქვითინი მოვაღრჩე.

გაკვირვებულმა შემომხედე. წამოიწიე. ფეხის წვერებზე შედექი. წინ გადმოყრილი ჰალარა, თი-

თებით უკან გადამივარცხნე და შუბლზე მაკოცე. იმედიანად გამიღიმე და თანაც დასძინე:

— დროა წავიდე. მეგობრები მელოდებიან. შეკრება გვაქვს. საღამოთი ფიზკულტურელთა ზეიმია. დავითის მთა ჩირაღდნებით უნდა ავიღოთ. ლამაზი იქნება, ძალიან ლამაზი!.. მე მინდა, რომ... — აქ სიტყვა გასწყვიტე და ცოტა დაები. მერე ტუჩებზე კეკლუცი ღიმილი აიკარ და თამამად ჩაურთე: — მე მინდა, რომ თქვენც ამოხვიდეთ იქ, ზევით, ზეიმზე!..

— ნუთუ მართლა! — წამოვიძახე თავშეუკავებელი სიხარულით.

— მართლა! — სიცილით მიპასუხე და ხელჩანთას დასწვდი.

— მერე, სურათი, რა ვუყოთ ჩანაფიქრს? — გკითხე მიმავალს და გამოცოცხლებული უკან აგედევნე.

— ხვალაც მზიანი დღე იქნება. ხვალიდან დავიწყოთ!—უდარდელად მომიგე, კიდევ ერთხელ გამიღიმე და წახველი.

— ..მე მინდა რომ თქვენც ამოხვიდეთ". რათა ..თქვენც" და არა ..შენც", ჩემო შეუდარებელო!— მოგაძახე აღელვებულმა, როცა უკვე კარს მიეფარე და უმალ სარკესთან მივიჭერ.

„სისულელეა. ყველაფერი რიგზეა. არც ნაოჭები და სულ ცოტა ჭაღარა." — თავისუფლად ამოვისუნთქე. სიმღერა მომინდა. სახელოსნოში გავედი. იქ ჩემს მიერ აღმართულ ..ლოდს" მოვკარი თვალი, რომელზედაც შენი ტანის ნაკვალევი ჯერ კიდევ მკაფიოდ ჩანდა. მივუახლოვდი. მოწიწებით მივუალერსე, რომ არ წამეშალნა და, ავმღერდი.

მე არ ვიცი, რასა ვმღეროდი, მე არ ვიცი, როგორ ვმღეროდი. აღარ შრიალებდნენ ეზოს გადაღმა ცადაწვდილი ალვის ხეები, აღარ ხმიანობდა ქუჩა.

იქნება, ეს ჩემი მწუხრის სიმღერა იყო. ვინ იცის, როდის არის უბედნიერესი წუთი ადამიანის ხანმოკლე ცხოვრებაში. იქნება, ეს უკანასკნელია და ვერა ვგრძნობ, რადგან უკეთესს მოველი?..

რა დიდად მეჩვენა შემოდგომის ხანმოკლე დღე. დაკარგულივით დავბორიალობდი ბინაში. დილით გაპარსულმა კიდევ ერთხელ გავიპარსე პირი. ტანისამოსის კარადა გადავაქოთე და ვერა ვიპოვე რა ტანთ მოსარგები. ყველაფერი გახუნებული და შეუფერებელი მეჩვენა. ყელსახვევები გადავათვალიერე და. ასში ქრთი ვერ შევარჩიე. ზოგი ჭრელი იყო მეტად, ზოგი უბრალო და სადა. ბოლოს, რაც მომხვდა, ის ჩავიცვი, რადგან უკვე ვაგვიანებდი. მთელი დღე მომლოდინეს მაინც ქურდულად მომეპარა დრო. ავჩქარდი. დერეფანში, საკიდზე შენი ყელსახვევი ვიპოვე და მოწიწებით უბეში ჩავიდე.

კარში გამოველ და უსაზღვრო ბედნიერება ვიგრძენ. მე ასეთი მწუხრი არ მახსოვს. ასეთი ცა ჯერ არსად მინახავს. მართალია, ადამიანი თავისი განწყობილებით ჰფერავს ყველაფერს და მეც, ალბათ, ჩემი სიხარულით ვღებავდი გარემოს, მაგრამ მაინც დიდებული იყო საღამო.

ჩქარი ნაბიჯით მიმავალი ხარბად ვსუნთქავდი მიმწუხრის მაგრილობელ ჰაერს და ჩემდა უნებურად ვიღიმებოდი. ამ ღიმილში შემთხვევით დავიჭირე ჩემი თავი და ქურდულად მივიხედ-მოვიხედე. შემრცხვა. ნაბიჯს ვუკელი. სახეზე გულგრილობის იერი ავიკარ და ვითომდა აქ არაფერიაო, დინჯად განვაგრძე გზა. გული კი მღეროდა. ძარღვებში სისხლი ახალგაზრდულად სჩქეფდა. ბედნიერი მივაბიჯებდი და, ეს ალბათ, მხოლოდ იმისთვის, რომ შენი თეთრი ყელსახვევი უბით მიმქონდა და მათბობდა.

მთაწმინდის ტაფობს შებინდებისას მივაღწიე. გაჩირაღდნებული ზემო სადგურიდან გამოსულმა, სწორედ მაშინ გადავხედე ქვევით ქალაქს, როცა უხილავმა ხელმა ნათურების ვარსკვლავები მიმოაბნია მტკვრის ხეობაში და ცა მოაპირქვავა თბილისის კალთებზე.

ქვევით სადგურთან ჩირაღდნები აინთო და ბილიკებს ამოჰყვა. ახალგაზრდები სიმღერა-ყიჟინით მოსდევდნენ აღმართს და სიცოცხლე მოჰქონდათ.

შუქი ციცინათელებისა ელავდა ხეებში და აქაიქ ატივტივებდა ადამიანთა ლანდებს. მთრთოლავი ალი ცეცხლის ჩანჩქერივით მისდევდა დაკლაკნილ გზასა და მთას ორადა ჰყოფდა. ცეცხლის ენების პირველმა წყებამ უკვე მოაღწია მთაწმინდის პარკსა და ბოლო მაინც არ უჩანდა ჩირაღდნებს.

ახალგაზრდები მოდიოდნენ მწყობრად. შუქი ჩირაღდნებისა ბრინჯაოსფრად ფერავდა მზისგან გარუჯულ სახეებს. დამხვდურნი ტაშითა და ყიჟინით ხვდებოდნენ მოსულთ და ცეკვა-თამაშის ფერხულში აბამდნენ.

განზე ვიდექი და თვალებით გეძებდი.

არა ჩანდი და შიში მიპყრობდა. იქნებ, იცრუე ჩემს დასამშვიდებლად და ეს ჩირაღდნობა მოიმიზეზე?

წყება წყებას მოსდევდა და თვალები მეტკინა მზერით.

მაგრამ აი, იასამნისფერი კაბა შევამჩნიე შუქზე და თავისუფლად ამოვისუნთქე. ან როგორ ვიფიქრე, რომ არ მოხვიდოდი. როგორ ვიფიქრე, რომ მომატყუებდი?!

რამდენიმე ნაბიჯი გადმოვდგი შენსკენ და ყოყმანით შევსდექი. მეუხერხულა მოსვლა, რადგან გვერდით მომავალ ჭაბუკს მკლავზე დაყრდნობოდი და გატაცებით ესაუბრებოდი, თანაც ღიმილი არ შორდებოდა შენს სახეს.

ისე ჩამიარე გვერდი, ბაასში გართულმა, რომ ვერც კი შემამჩნიე.

ის ახალგაზრდა, გრუზათმიანი იყო, შავთვალა და ტანადი.

რა ვუყოთ მერე... თავის დროზე მეც ასეთი გრუზა თმა მქონდა, მშვენიერი შავი თვალები და წერწეტა ტანი.

მაინც ვერ მოვბედე შენთან. ის რაც ჩემს თავზე ვთქვი, თუ იყო, ყველაფერი წარსულში იყო და რა ვიცი... მეუხერხულა თქვენს ბაასში შემოჭრა. ამიტომ მოხდა, რომ ლანდივით აგედევნე უკან. შეიძლება უხერხული იყო, მაგრამ მაინც აგედევნე.

მხიარულად მისდევდი ჭაბუკს და ხანდახან კიდეც ეკვროდი მას, ისე, ოდნავ და შეუმჩნევლად. ალბათ, შემთხვევით და შენდა უნებურად. იქნებ, დაღლილი იყავ აღმართზე სიარულით და დასაყრდენს ეძებდი. ანდა, იქნებ მომეჩვენა კიდეც მეტისმეტად ეჭვიანსა და უნდოს.

სტალინის ძეგლთან განმარტოვდით და ჩაბნელებულ ხეივანს დაჰყევით. მე შენი თეთრი ყელსახვევი ამოვიღე უბიდან და ხელგაწვდილი უკან მოგყევი. მინდოდა მხოლოდ ეს ყელსახვევი გადმომეცა შენთვის და გაგშორებოდი. შენ თავსა ვფიცავ, მხოლოდ ეს იყო ჩემი სურვილი და სხვა არაფერი. მინდოდა. მაგრამ რად ვაყოვნებდი, დღესაც არ ვიცი.

ხეივნის მყუდროში სკამზე ჩამოსხედით და ბაასი განაგრძეთ. მე ხის ძირს ავეკარი იქვე შორიახლოს და გავირინდე. ხის ფოთლებში შემოპარული ლამპიონის შუქი მკრთალად ანათებდა იქაურობას და თქვენს ლანდებს.

— სახელგანთქმული მხატვარია, დიდის მოკრძალებით მეპყრობა, მას მხოლოდ ხელოვნება აინტერესებს და სხვა არაფერი. გამოგიტყდები და მეც სულმა წამძლია, უარი ვერ ვუთხარი... რა ცხვირი ჩამოუშვი, გიჟო!.. აბა შემომხედე კარგად... სხვა არა იყოს რა, სახსოვარს ვეძებდი ჩვენი საქორწილო დღისათვის, საინტერესო და იშვიათ სახსოვარს. მერე რა კარგად ჩაიფიქრა, იცი?.. სიპ ლოდზე წევხარ და სატრფოს ელიო. ქაფი ზღვის ტალღისა შენს ტანსა ჰბანსო, აქ მხოლოდ ლოდია, შენა და ზღვაო... — ალგზნებით ჰყვებოდი და ჭაბუკს ეკვროდი.

გვერდით მჯდომმა გრუზათმიანმა ხელი მოგხვია, თავისკენ მიგიზიდა და ტუჩებზე დაგეკრო. შენ ერთი შეფრთხიალდი და მორჩილად მიენდე. ეს იმ სიცოცხლის კოცნა იყო, მე რომ ვეძებდი და ვერ ვპოვე.

უცაბედი მოწამე თქვენი ალერსისა, ხის ძირას ვიდექი და ვთრთოდი. ანაზდად წამოქროლილმა ზენამ ის შენი თეთრი ყელსახვევი გამომტაცა ხელიდან, ჰაერში ააფარფატა და ფეხთით გაგიშალა. თქვენ ვერც კი შეამჩნიეთ ეს.

ძლივს ავიკრიფე ტანი და ხის ჩრდილებში გავუჩინარდი.

პარკის მოედნებზე ახალგაზრდობა ცელქობდა და დროს ატარებდა. გარშემო ჟივილ-ხივილი იდგა და სიცოცხლე სჩქეფდა. ქვევით თბილისი კაშკაშებდა და ალმასებით მოჭედილი სამაჯურივით ელავდა. თრიალეთის ქედზე წამოპარული ღრუბლების ლაშქარი ალყას არტყამდა ქალაქს.

ფუნიკულორის გაჩირაღდნებულ სადგურში ბილეთი ავიღე და ვაგონში ვიღაც დედაკაცის გვერდით მოვთავსდი.

ვაგონი მძიმედ დაიძრა და ჩქარა გაუსწორდა მთაწმინდის პანთეონს.

დედაკაცი რაღაცას ჰყვებოდა:

— დიახ, ცხრამეტი წლით უფროსი იყო თავის მშვენიერ ცოლზე. მოგეხსენებათ სიყვარულმა წლები არ იცის!

— ტყუილია!.. — ჩემდა უნებურად წამოვიძახე მე და გავშრი. მგზავრებმა უნდოდ შემომხედეს.

— ამას დამიხედეთ, გრიბოედოვის ცხოვრებას მასწავლის, ბრიყვი! — გამიკაპასდა მეზობელი.

— ნასვამია, თავი დაანებეთ! — წაიჩურჩულა ვიღაცამ კუთხეში.

დედაკაცმა ზურგი შემაქცია და თავისი განაგრძო.

მადლობა გამჩენს. ორიოდ წუთში ქვევითა სადგურის ბაქანიც გამოჩნდა. აუჩქარებლად გადმოველ და ქუჩას დავუყევი.

ჩემი ხახლის კართან წვიმის წვეთი წამომეწია და შუბლზე დამეცა. შუბლი მოვიწმინდე და კარი გავაღე. კიბეებს ავუყევი. ბინაში შევედი. ღილი მოვნახე და შუქი ჩავრთე.

ბინა გაპარტახებულ ბუდესა ჰგავდა. სარკეს ისე ავუარე გვერდი, რომ არ ჩამიხედნია შიგ.

სახელოსნოში გავედი და იმ ჩემს ლოდს დავ-


ეროვნული ბიბლიოთეკა

წყნეთი.

ფოტო გ. რაზმაძისა

სტალინის სახ. ხიდი





# ლეგენდარული მატჩი







ტექსტი
ნ. ბუხუშვილისა

...„მოდიან საქართველოს ფიზკულტურელები, რომლებმაც მაყურებელთა ერთსულოვნური სიმპათია დაიმსახურეს კალათბურთელთა ტურნირში თავგანწირული თამაშისათვის, რომლის მსგავსი სიძნელისა და დაძაბულობის მიხედვით არ ახსოვს სამამულო სპორტის ისტორიას", — ასეთი სიტყვებით შეაფასა გაზეთმა „პრავდამ" საქართველოს კალათბურთელების წარმატება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

სპორტის მოყვარულები ერთსულოვნად აალაპარაკა იმ უჩვეულო ბრძოლის შედეგმა, რომელსაც სამართლიანად უწოდეს „საუკუნის მატჩი".

სპარტაკიადის ტურნირი ჩვენმა კალათბურთელებმა მარცხით დაიწყეს. სენსაციურმა დამარცხებამ ყაზახეთის ნაკლებად ძლიერ კოლექტივთან საქართველოს სპორტსმენები აშკარა საფრთხის წინაშე დააყენა. გუნდი, რომელსაც უნდა ებრძოლა პირველი ადგილისათვის, შეიძლება ვერ მოხვედრილიყო ფინალში. დარჩა ერთადერთი გამოსავალი, ლატვიასთან გამარჯვება, ყველა გრძნობდა, რომ საღამოს 8 საათზე, ლუჟნიკის მცირე სპორტულ არენაზე დაიწყებოდა ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა.

უკრუმინშოდ ლატვიის გუნდმა დებიუტშივე ცუდი პოზიცია მიიღო და მეშვიდე წუთზე მისმა გამოსვლამ ფაქტიურად არაფერი შეცვალა. ოთხი ქულა, რომელიც მან მოუტანა გუნდს პირველ ნახევარში, ოდნავადაც არ იყო კრუმინშის „ზენიტი". პირველი ნახევარი ჩვენმა გუნდმა მოიგო 10 ქულის განსხვავებით — 37 : 27.

მეორე ნახევარში, ბოლოსდაბოლოს, ძალთა შეფარდება გათანაბრდა, ლატვიელებმა, როგორც იტყვიან, იპოვეს თავიანთი თავი და დაიწყო გროსმაისტერული ბრძოლა. მინიმალური უპირატესობა, რომელსაც ესა თუ ის გუნდი აღწევდა ცალკეულ მომენტებში, არ იყო წარმატების მტკიცე გარანტია და 40 კანონიერი წუთის შემდეგ სადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა საყაიმო ანგარიშს — 64 : 64.

ყველაფერი დაიწყო თავიდან, იმ განსხვავებით, რომ თბილისელებმა ბრძოლაში დაკარგეს წამყვანი ძალები, ლატვიელები კი მოედანზე ძირითადი შემადგენლობით დარჩნენ. ამის მიუხედავად, პირველ დამატებით დროს სურათი არ შეუცვლია — 72 : 72. მეორე „იძულებით" ხუთ წუთში თბილისელთა დანაკლისი გაიზარდა კიდევ რამდენიმე კალათბურთელით. მოედანზე დარჩნენ მხოლოდ ახალგაზრდები, მაგრამ ბრძოლა არც ამჯერად დამთავრდა. ანგარიში 80 : 80 ითხოვდა კიდევ ერთ დამატებით ხუთ წუთს.

და აი ისიც — სპორტული დრამის კულმინაცია, მისი უკანასკნელი აკორდი. ტრიბუნაზე ვილაცამ იხუმრა: თუ თბილისელებმა ასე განაგრძეს, მოედანზე შეიძლება მხოლოდ ლატვიელი კალათბურთელები დარჩნენ და მაშინ ბრძოლის ბედი საბოლოოდ გადაწყდებაო. არ გასულა წუთი და თბილისელთა რიგებში მხოლოდ ოთხი სპორტსმენი იბრძოდა, ხოლო სულ მალე — სამი. ხუთი — სამზე, ასეთი შეფარდება კალათბურთმა არ იცის. სწორედ აქ მოხდა სასწაული. სამმა ქართველმა კალათბურთელმა აბაშიძემ, ალტაბაევმა და კაკაურიძემ არაადამიანური გმირობის საფასურად შეინარჩუნეს უპირატესობა და ლეგენდარული გამარჯვებაც ჩასწერეს კალათბურთის ისტორიაში — 88 : 86. ეს მარტო თამაშის შედეგი არ იყო. იგი ამავე დროს წარმოადგენდა სამი საათის მანძილზე დაკარგული ენერგიის, დაჭიმული ნერვებისა და 10 ათასი მაყურებლის განცდათა კომპენსაციას.

**1.** იანის კრუმინში დღეს ყველა გუნდისათვის № 1 პრობლემაა. კრუმინში, თავისი გიგანტური აღნაგობით და სიმაღლით (218 სანტიმეტრი) უპოპულარულესი კალათბურთელია მსოფლიოში.

კრუმინშის პრობლემა ჩვენი გუნდისათვისაც მთავარი საზრუნავი იყო. არ მიეცეთ კრუმინშს ბურთის მიღების საშუალება, — აი გზა (შეიძლება ერთადერთი), რომელსაც უნდა უვნებელეყო იგი. ყოველ ბურთს კრუმინშისაკენ გაგზავნილს წინ ეღობებოდნენ და მეტ წილად ადრესატი გადაცემას ვერ იღებდა.

კრუმინშის პარალიზების ერთი ფრაგმენტი აღბეჭდილია ფოტოსურათზე. გადაცემა, რომელიც უნდა მიეღო მას, ჩასჭრა ვ. უგრეხელიძემ (№ 12).

**2.** ლატვიელებმა უკანასკნელად აიღეს ბურთი საკუთარი ფარის ქვეშ და სწრაფად გამოემართნენ მოედნის შუაგულისაკენ. რ. გოგელია (მარცხნივ ხელაწეული) ყველაზე ადრე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მატჩი მოგებულია. გუნდის ბწვრთნელებს მ. კეკელიძეს, გ. ავალიშვილს და ლ. ინწკირველს არ სჯამთ „ბედნიერი ვარსკვლავის", სანამ ყველაფერი არ დამთავრდება.

**3.** შეხედეთ ანზორ ლეჟავას, ამ დინჯ და თავდაჭერილ ახალგაზრდას, რომელსაც დაუკარგავს ზომიერების გრძნობა და კენგურუს ნახტომებით უახლოვდება მოედნის შუაგულს, სადაც დგას სამი ბედნიერი და დაბნეული ახალგაზრდა — დღევანდელი გამარჯვების გმირები. ისინი მზად არიან ატირდნენ უზომო სიხარულის ნიშნად, მაგრამ საამისოდ ძალა არ ყოფნით.

**4.** ვალერი ალტაბაევმა კრიტიკულ მომენტში 6 ქულა მისცა გუნდს. სწორედ ალტაბაევზე მიიტანეს პირველი და მთავარი „იერიში", შეხვედრის დამთავრების შემდეგ. უცნობები მას ულოცავენ, ჰკოცნიან, მადლობას უხდიან.

**5.** ლატვიის გუნდის მწვრთნელი ა. გომელსკი თავდახრილი სტოვებდა მოედანს. ღიმილი, რომელიც იმავ წამს აღბეჭდა ფოტოფირმა, მწუხარებისა და სინანულის ღიმილია.

— სპორტი სპორტია — განაცხადა მწვრთნელმა შეხვედრის დამთავრებისთანავე, — მე აღტაცებული ვარ ქართველობის გმირობით და თავდადებით. არ მეგონა, თუ კი ოდესმე სადმე შეძლებდნენ ასეთი მატჩის მოგებას. გილოცავთ გამარჯვებას, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

ფოტო
ო. თურძიანი
და
მ. ზარზარიანისა



ეროვნული ბიბლიოთეკა






ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფოტო გ. რაზმაძისა

სტალინის სახ. სანაპირო



ხედე, შენი ტანის ნაკვალევი რომ აჩნდა ამ დილით.

რა ვუყოთ მერე, შევცდი. ბოლოს გასული სათავეში მდგომისგან ველოდი შენდობას. მეგონა შენი სუნთქვა თუ გააცოცხლებდა ჩემს ფუნჯს. ალბათ, ზღურბლზე გადაბიჯებისა მეშინოდა და შენით ვაპირებდი სიცოცხლეს. სიკვდილი არ მინდოდა და შენ გეტმასნებოდი. ჭარბი სიჭაბუკე გქონდა და პეშვის ოდენას გთხოვდი.

შენ არა გაიმეტე რა ჩემთვის და რა ვქნა. არ გიჯავრდები. მაპატიე, რომ დაღმართს მომავალმა აღმართს მიმავალი გნახე და წუთს მივენდე. ბუნებას შევები და ფუნჯი მოვიმარჯვე ჩემში დაგუბებულ გრძნობათა უკვდავსაყოფად. მაგრამ ხედავ, როგორ გადამიხადა სამაგიერო მზაკვარმა. როგორც კი, ფუნჯი ავიღე ხელთ, სიცოცხლე დაამკნო ჩემი მზერის ქვეშ და წყარო დააშრო სიცოცხლის მიმკუთვნი ვნებისა.

ჩემს წილად მარტოობაღა დარჩა, ისეთივე ნაცრისფერი და უსაზღვრო, როგორც უდაბნო. ისეთივე ცივი და ნესტიანი, როგორც საპყრობილე.

წვიმს. დღეს პირველად მოვიდა შემოდგომის წვიმა. ის ერთხმიანად აკაკუნდა ჩემი სახელოსნოს თუნუქის სახურავზე. მგონი შენც მოტყუვდი და რა გიყო, ხვალ აღარ იქნება მზიანი დღე. თუმცა, ვინ იცის, საქორწილო საჩუქარს ეძებ და იქნებ მოხვიდე. დამიჯერე. არაადამიანური ტანჯვა იქნებოდა ჩემთვის ამ ბინაში კვლავ შენი ხილვა.

არა, დარწმუნებული ვარ, რომ მოხვალ. მე კი, მაპატიე და, ველარ მიგიღებ.

ველარ მიგიღებ...

გადაუღებლად წვიმს. ხვალ მოღრუბლული დღე იქნება და მყონავი სინესტე. ჩემი სიმარტოვე გაგიღებს კარსა და დავიღუპები.

ვრეკავ ცნობათა ბიუროში.

შავი ზღვისაკენ მატარებელი ღამის ორ საათზე გადის.

ვალაგებ ბარგს. ვუკვეთავ მანქანას. დავყურებ ნოხსა და შენი ტანის ძვირფას ნაკვალევს.

გულში თითქოს იმედი ილვიძებს... გარიყრაჟის პირველი სხივი... იქნებ სინამდვილემ აჯობოს ოცნებას?!

კარგი, უთუოდ დაგხატავ, ძვირფასო. მართალია ეს იქნება მწუხრის სიმღერა, მაგრამ აქ მე ველარავინ შემეცილება. ერთად ვიქნებით სამუდამოდ — ის ზღვა, ის ლოდი, შენა და მე!..

ქუჩიდან მოისმის ყრუდმოჭრილი საყვირის ხმა. მძღოლი მეძახის.

ვკეტავ ბინას და ქურდულად მივიპარები.

ერთიღა მრჩება სანანებლად, ქორწილისთვის უსაჩუქროდ რჩები. მაგრამ რა ვქნა...

შენ მაშინღა მოხვედი ჩემთან, როცა აღარავის ველოდი. სრულიად არავის.

იმხანად შემოდგომა იდგა.

მე არც შემოდგომას ველოდი ჯერჯერობით, მაგრამ ის მაინც მოვიდა და ჰაერში დაურთავი აბრეშუმის მსგავსი ძაფები დაჰკიდა.





ელექტრონული ბიბლიოთეკა

ფოტო ავტორისა

ნოდარ ჯანბერიძე

როდესაც კომფორტაბელური ავტობუსი ლონდონში „ფროშიბერ ოტელთან“ გაჩერდა, სპიდომეტრი 1381 გავლილ მილს უჩვენებდა. ჩვენთვის ამ ოთხნიშნა რიცხვს უკვე გეოგრაფიული მნიშვნელობაც ჰქონდა: ავტომანქანით შემოვიარეთ დიდი ბრიტანეთის ვრცელი ტერიტორია, — საკუთრივ ინგლისი, უელსი და შოტლანდია.

ლონდონი, კარდიფი, სტრადფორდი — ეივონზე, გლაზგო, ედინბურგი, შეფილდი — აი ქალაქები, რომლებიც „ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის“ საზოგადოების დელეგაციის ინგლისში მოგზაურობის ძირითად პუნქტებს შეადგენდნენ. დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოდან შედიოდნენ პროფესორები თინათინ წერეთელი, არჩილ ცაგარელი, პავლე ხუჭუა და ნიკო იაშვილი, აგრეთვე, ამ წერილის ავტორიც.

ლონდონში შესვლისას ყურადღებას იპყრობს ჩამწკრივებული მცირე კოტეჯები, რომელთა წინ როგორც წესი, მკაცრად აკრეჭილი მინიატურული სკვერებია. ლონდონი კონტრასტების ქალაქია. ყველგან შეხვდებით ამ მცირე კოტეჯებს, დიდი სახლების გვერდითაც კი. მაგრამ ქალაქის შენობათა არქიტექტურას თანა სდევს საერთო მასშტაბურობა, ამიტომაა სწორედ, რომ არც სახლების სხვადასხვაობა, არც სტილთა აღრევა არ იწვევს უსიამოვნო გრძნობას. მასშტაბი ქალაქისა იმდენად კარგადაა ნაპოვნი, რომ შენობათა არქიტექტურაში მთავარ გამაერთიანებელ როლს თამაშობს.

ლონდონს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალ რაიონადაა დაყოფილი, ძირითადად განსაზღვრავს სამი შემადგენელი ნაწილი: „სიტი“, „უესტენდი“ და „ისტენდი“.

ორ ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულ რაიონს — უესტენდსა და ისტენდს — სიტი აერთიანებს. უესტენდი არისტოკრატიის საცხოვრებელი ადგილია, ისტენდი — მუშათა, ხოლო სიტი — ადმინისტრაციულ-ფინანსიური ცენტრი.

ფაქტიურად ცენტრს უესტ-ენდი — (დასავლეთის მხარე) წარმოადგენს. აქ ცხოვრობს ბურჟუაზია, თავმოყრილია მუზეუმები, თეატრები, კინოები, მაღაზიები და სხვა. აქაურ ფეშენებელურ სახლებს, მუშათა რაიონში — ისტენდში ეკონტრასტება სახლები, სადაც ელექტროგაყვანილობაც კი არ არის.

პირველი, რაც ყურადღებას იპყრობს, ქალაქში არაჩვეულებრივი სისუფთავეა. ყველაფერი კრიალებს: ტროტუარი თუ შენობათა ფასადები, მაღაზიათა ვიტრინები თუ ყველაზე მაღალი სახლების კარსარკმელთა მინები.

ბრიტანეთში დიდ ყურადღებას უთმობენ ქალაქთა სისუფთავეს. დამახასიათებელია, რომ შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში ნაგვის ყუთებზე, რომლებიც ელექტრობოძებზეა მიმაგრებული, ასეთი წარწერაა: „ეს ქალაქი ულამაზესია. დაეხმარე ქალაქის სისუფთავის დაცვას. თუ გადააგდებ ნაგავს ქუჩაში, დაჯარიმდები 10 გირვანქით“.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ლონდონს. ქუჩები მეტად ვიწროა. მოძრაობა დიდი და სწრაფია.

მოძრაობა ქუჩებში მარცხენა მხარესაა და ჩვენებურისათვის ძნელად შესაჩვევი. გადასასვლელები მკაფიოდაა გამოყოფილი ქვაფენილითა და შუქით.

ლონდონის მეტრო ჯურღმულებსა ჰგავს, რომლის კედლები ფერად-ფერადი რეკლამებითაა აჭრელებული. მოსკოვის მეტროსაგან განსხვავებით, აქ ყოველთვის თან გდევთ უსიამოვნო გრძნობა, რომ მიწის ქვეშა ხართ. ეს აშკარა მაგალითია ფსიქოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობისა არქიტექტურაში. საინტერესოა აღინიშნოს — მეტროს შესასვლელში სწერია, რომ აქ ვრცელდება კანონები 1845 წლისა!

ლონდონისათვის ძირითადი დამახასიათებელი საცხოვრებელი ტიპი შესასვლელებთან პორტიკებიანი, 4-5 სართულიანი სახლებია. სახლის ფრონტი ვერტიკალურ ზოლებადაა დაყოფილი, რომელიც სხვადასხვა მეპატრონის სურვილისამებრ სხვადასხვა ფერისაა. ხშირად, პორტიკის სვეტიც კი, სადაც მესაკუთრეთა „საზღვარი“ გადის, შუაშია გახაზული და ვერტიკალურად სხვადასხვა ფერითაა შეღებილი.

ქუჩები ხალხმრავალია. განსაკუთრებით ქალაქის გული — რიჯენ-სტრიტი, ოქსფორდ-სტრიტი და პიკადილი. ჩვეულებრივ დღეებში აქ ცხოვრება დუღს და გადადუღს.

ვაჭრობის ცენტრია ოქსფორდ-სტრიტი, რომელიც მოფენილია ყოველგვარი მაღაზიებით. ვის არ შეხვდებით აქ. მოსიარულე რეკლამებს, მოხეტიალე ჯაზ-ორკესტრს, უცხოელს ყოველი კუთხიდან.

მოედანი — პიკადილი-სერკუს აჭრელებულია რეკლამებით. თითქოს ლონდონის ქუჩების შედარებით თავშეკავებულმა რეკლამებმა აქ ჰპოვეს თავისი პოტენციური შესაძლებლობანი.

ქალაქის გაფორმებაში დიდ როლს ასრულებს რეკლამა, მაგრამ უპირველესი დანიშნულება, რა თქმა უნდა, წმინდა უტილიტარულია. წარწერები რეკლამაზე კურიოზებამდე მიდის. ერთ-ერთ რეკლამაზე, რომელიც მთელ ინგლისშია მოდებული, ასეთი წარწერაა: „დალიეთ ახალი სასმელი —ვო-




ყოველგვარი ხერხია ნახმარი, რომ გამვლელმა პალაზიას ყურადღება მიაქციოს.

ზინგტონი და თქვენ ორგზის მამაკაცი გახდებით!“. მაღაზიების ვიტრინები დიდი გემოვნებით ფორმდება. მოსაწყენი რომ არ იყოს, მანეკენებს ყოველდღე უცვლიან ტანსაცმელს.

ლონდონში, თვით ქალაქში, თითქოს მეორე ქალაქია — სიტი, რომელსაც თავისი მერი ჰყავს. პოლისმენსაც კი ოდნავ განსხვავებული ფორმა აცვია. დედოფალს რომ უნდოდეს სიტიში შესვლა, მერისგან უნდა აიღოს ნებართვა და ეს დიდი ცერემონიალით სრულდება.

სიტიში შენობები ძირითადად მე-19 საუკუნეშია აშენებული. ისინი მასიურია, ფეშენებელური. საკვამურთან შეჭვარტლულ ქვებს, წვიმისაგან შავი იერი აქვთ მიღებული — და ეს სახლები მეტადაა დამახასიათებელი ლონდონისათვის. „სიტი“ ომის დროს ყუმბარებს საკმაოდ ძლიერად დაუზიანებია და იგი იქვე, წმ. პავლეს ტაძრის ახლოსაც კი ჯერ კიდევ ნანგრევებშია.

შექსპირის სამშობლო სტრადფორდი — ეივონზე პატარა, საკურორტო ქალაქია, სადაც ყველაფერი უკვდავი დრამატურგის სახელთანაა დაკავშირებული. თითქმის ყველაფერი, რაც ქალაქის მაღაზიებში იყიდება, შექსპირის გამოსახულებით ან მისი სახელითაა აღნიშნული.

შექსპირის სახლ-მუზეუმში ერთ საინტერესო ამბავს წავაწყდით, აქ სახლის სარკმლის მინაზე ამოკვეთილია ცნობილ მოღვაწეთა ავტოგრაფები. მათ შორის ვალტერ სკოტის, ტომას კარლეილის, ირვინგისა და სხვებისა. ადვილი წარმოსადგენია ჩვენი გაოცება, როცა ამ ავტოგრაფთა დათვალიერების დროს ქართული წარწერაც ვნახეთ. ქართულად წერია: დათო, გვარი გაკრულად იწყება, მაგრამ ძნელად წასაკითხია, წარწერა ძველი არ არის.

სტრადფორდის შექსპირის მემორიალურ თეატრში ამჟამად მეტად საინტერესო ცხოვრებაა: აქ თამაშობენ მორიგეობით ლოურენს ოლივიე კორიოლანოსს და პოლ რობსონი ოტელოს. ბილეთები თვეობით ადრე იყიდება. სპექტაკლზე მოხვედრა ოცნების ფარგლებსაც კი სცილდება. ჩვენც ვერ მოვხვდით სპექტაკლზე, მაგრამ ჩვენი დელეგაციის მცირე ჯგუფს, ხუთ კაცს, ბედნიერება გვქონდა სპექტაკლის შემდეგ შევხვედროდით თანამედროვე ინგლისური თეატრის დიდებას, ლოურენს ოლივიეს. იგი არაჩვეულებრივი შინაგანი ძალისა და ჯადოსნური მომხიბვლელობის ადამიანია. მასთან შეხვედრამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.



ახალი ეკლესია ისტ-კილბროტში (გლაზგოს თანამგზავრი), რომლის არქიტექტურა ულტრა — თანამედროვე ხუროთმოძღვრების პრინციპებს ეყრდნობა.

სტრადფორდი ძველი ქალაქია, შესანიშნავად მოვლილი და შენახული. საინტერესო კვარტალებს ქმნიან დაბალი, ხის კარკასული კონსტრუქციით შედგენილი სახლები.

შოტლანდიისაკენ ბუნება იცვლება, მატულობს მთაგორიანი ადგილები. აგურის შენობებს ცვლის ქვის ნაგებობანი.

გლაზგო შოტლანდიის ყველაზე დიდი ქალაქია, ძველი ძეგლებითა და სახლებით მდიდარი. ჩვენი მოგზაურობის მანძილზე აქ პირველად ვნახეთ ტრამვაი, რომელიც ბრიტანეთში შედარებით იშვიათია.

გლაზგო ტლანქი, უსუფთაო და პირქუშია, რაც ბევრად განასხვავებს მას სხვა ქალაქებისაგან.

შოტლანდიელები მეტად ამაყი და ამპარტავანი ხალხია. ვაი იმათ, ვინც მათ ინგლისელებს დაუძახებს, — ეს უდიდესი შეცდომაა. თვით შოტლანდიაში ისინი იშვიათად ხმარობენ ტრადიციულ კაბას კილტს, — რომელსაც უფრო ხშირად იცვამენ მაშინ, როცა თავიანთ საზღვრებს გაცდებიან.

შოტლანდიის პატარა, მაგრამ მეტად ლამაზ ქალაქ ერში ყველაფერი რობერტ ბერნსთანაა დაკავშირებული. — ეს მისი სამშობლოა.

შოტლანდიის დედაქალაქი ედინბურგი ულამაზესი ქალაქია. აქ შესანიშნავად არის ბუნებრივ რელიეფთან შერწყმული რეგულარულად დაგეგმილი ქალაქის ხუროთმოძღვრება. ცალ მხარეს შუა საუკუნებრივი ციხით დაგვირგვინებული მთა, ხოლო მეორე მხრივ — ღია სივრცეში გადაშლილი ქალაქი მეტად ამაღელვებელ განწყობას და წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

გზაზე გვხვდება მრავალი ქალაქი, რომლებიც თავისი გარეგნული სახით ძალზე წააგავან ერთმანეთს. მათ ჩვენ მხოლოდ ზერელედ ვეცნობით. ზოგჯერ მხოლოდ იმით ვკმაყოფილდებით, თუ გავიგებთ, რომ ერთ-ერთ ქალაქში, რომელიც ბეისლეის სახელს ატარებს, ხუთჯერ მეტი ქალია, ვიდრე მამაკაცი!.. ქვანახშირის სამრეწველო ქალაქ ნიუკასტლის გამო — ანდაზად ამბობენ — „ვინ მიდის ნიუკასტლში ნახშირითო?!“.

ინგლის-შოტლანდიის საზღვარზე არის ერთი მეტად „მნიშვნელოვანი“ პუნქტი, რომელმაც ოფიციალური ბედნიერება მოუპოვა არა ერთსა და ორ მოუთმენელ მიჯნურს. საქმე იმაშია, რომ შოტლანდიაში, ინგლისისაგან განსხვავებით, დაქორწინების უფლება უკვე 16 წლის ასაკიდან ეძლევათ. ამი-



სტრადფორდის შექსპირის მემორიალური თეატრი, რომლის სცენაზე გამოსვლაც არა ერთ დიდ მსახიობსაც კი უნატრია.



ასეთი „ქანდაკებით“ შემოსა ცნობილმა მოქანდაკემ ჰენრი მერმა ლონდონის ერთ-ერთი სახლის ფასადი.

ტომ აქ მორბოდნენ ინგლისელი ახალგაზრდები, შედიოდნენ პირველსავე სახლში და აცხადებდნენ — ჩვენ ცოლ-ქმარი ვართო. ეს სრულიად საკმარისი იყო მათი ოფიციალური კურთხევისათვის. ახლა ეს წესი შეიცვალა ამ ახალგაზრდათათვის, შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვან საკითხში მოუნდათ მაინც და მაინც ტრადიციის დარღვევა: ახლა ისე, როგორც ინგლისში, დაქორწინებაზე განცხადება 3 კვირით ადრე უნდა შეიტანონ და მხოლოდ 17 წლის ასაკს ზევით.

გავდივართ დაბას, რომელიც ჩვენთვის იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ მოსკოვის სახელს ატარებს...

ინგლისში მოგზაურობამ დამარწმუნა: თანამედროვე არქიტექტურა მასალისა და ძირითადად — ფერის არქიტექტურაა! ხუროთმოძღვრები ბრწყინვალედ ფლობენ ფერს და ამით აღწევენ ისინი უმთავრეს მხატვრულ ეფექტს. ინტერიერებს უდიდესი ყურადღება ექცევა. მარტივი, სადა საშუალებებით მუშავდება ფასადები ისეთ შენობაშიც კი, რომლის ფასადი სრულიად უღიმღამოა, ინტერიერი ყოველთვის მომხიბვლელია. არქიტექტურაში სტილისტური ერთიანობაც შეიმჩნევა, რისი აშკარა მაგალითიც თანამედროვე საკულტო ნაგებობანია.

ქალაქთმშენებლობაში დიდი ყურადღება ეთმობა ქალაქთა თანამგზავრების — სატელიტების მშენებლობას.

ინგლისში ყოფნის დროს ჩვენ ვნახეთ მრავალი ისტორიული ძეგლი, ვიყავით მუზეუმებში, რომლებიც სახელგანთქმულია თავიანთი კოლექციებით.

მუზეუმებში ექსპოზიცია მეტად თავისუფალია, არ იცავენ არც ავტორებს, არც ქრონოლოგიას. ასე, მაგალითად: გლაზგოს გალერეაში ველასკეზის ინფანტასა და ფილიპ IV პორტრეტებს შორის ჰკიდია სალვადორ დალის „ჯვარცმა“, შესრულებული 1952 წელს. ეს მეტად ეფექტური და საინტერესო ტილო სინანულით გვაფიქრებინებს, რომ ნიჭიერი მხატვარი სალვადორ დალი (და მისი ნიჭი ამ სურათიდან ადვილად მტკიცდება) სხვა შემთხვევებში, როცა ამერიკისა და ევროპის მუზეუმებს ავსებს აბსტრაქტული ნაჯღაბნით, რამდენ დროსა და ენერგიას კარგავს ფუჭად.

ერთ-ერთ სალონში მოწყობილ თანამედროვე ქანდაკების გამოფენის დათვალიერებისას, სადაც ნაწარმოებები იყიდება, ჩვენ ვკითხეთ დირექტორს, თუ ვინ ყიდულობდა ამ ყველასათვის გაუგებარ სკულპტურულ „ნამუშევრებს“, რომლებიც 2500 გირვანქა სტერლინგი ღირს (2500 გირვანქა საშუალოდ 3 ავტომანქანის ფასია). მდიდარი ამერიკელებიო, გვიპასუხეს. რას იზამთ: გემოვნებაზე არ კამათობენ!

ცნობილია ინგლისელთა მიდრეკილება ტრადიციებისადმი. ეს ზოგჯერ სასიამოვნო გამოძახილს პოულობს მნახველში, ზოგჯერ კი გაუმართლებელ თვითმიზნამდე მიდის. ასე, მაგალითად: თანამედროვე სახლებში აუცილებლად აკეთებენ ბუხარს და შიგ კი გასათბობად ელექტროჩირაღდნებია, რომლისათვის ბუხრის ჩარჩო სრულიად ზედმეტია. სიტყვამ მოიტანა და სასტუმროში ასეთი ბუხარი არ ინთება, თუ ავტომატში შილინგი არ ჩააგდეთ. შილინგიც მხოლოდ ერთი საათით მოგცემთ სითბოს. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი დაუჯდება კაცს ოთახის გათბობა. სასტუმროში რადიოს მოსასმენადაც შიგ მონეტა უნდა ჩააგდოთ, თუ არა და იგი სდუმს. კარდიფში ფული გადავიხადეთ, რომ მანქანა ქუჩაში დაგვეყენებინა...

ინგლისელთათვის ყველაზე სერიოზულ პრობლემას ბინის საკითხი წარმოადგენს. ბინა აქ ძალზე ძვირია და შემოსავლის 30-40 პროცენტი მიაქვს. ეს განსაკუთრებით სამძიმოა მუშებისათვის, რომელთაგან ახლა ინგლისში ბევრი უმუშევარია.

ჩვენი მოგზაურობის დროს ხშირი იყო შეხვედრები. ვხვდებოდით სხვადასხვა სპეციალობისა და ფენების წარმომადგენლებს. ეს შეხვედრები აშკარად გვიჩვენებდნენ, თუ როგორ აინტერესებთ ინგლისელებს ჩვენი ცხოვრება, თუ როგორ სურთ მათ იცხოვრონ მშვიდობიან ვითარებაში. ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი და ხელოვნებისადმი ისე დიდია, რომ როგორც ერთ-ერთმა ინგლისელმა გვითხრა, საბჭოთა ბალეტის კონცერტებზე ბილეთების შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო და მას ბილეთში ულანოვას გასტროლებზე 50 გირვანქა სტერლინგს აძლევდნენ (50 გირვანქა ინგლისში ტელევიზორს ყიდულობს).

ამჟამად ლონდონელები დიდი ინტერესით მოელიან ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ანსამბლის გასტროლებს.

ერთ-ერთ დარბაზობაზე ჩვენ გაგვეცნო მოხუცი, რომელსაც ხელში ობლიგაცია ჰქონდა. თურმე, მაშინ, როცა ახლად შექმნილმა საბჭოთა სახელმწიფომ საერთაშორისო სესხი გამოაცხადა, მან 50 გირვანქა სტერლინგი შეიტანა. ამ ფულის აღება მას ჯერ კიდევ 1933 წელს შეეძლო, მაგრამ როგორც თვითონ თქვა საბჭოთა კავშირის მეგობრისათვის ეს ქაღალდი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფული. იგი ახლა 80 წლისაა და ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარია.

შეხვედრებზე, სხვასთან ერთად, დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოსადმი. ერთხელ ერთმა ინგლისელმა როცა გაიგო, რომ ჩვენ ქართველები ვართ, — ჰაბუკიანიო, — წამოიყვირა, ხოლო პაკისტანელი ელჩის ცოლმა დიდი სალამი დაგვაბარა ქართველ ხალხთან. თურმე, საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, მას გამოუთქვამს სურვილი და საქართველოს ერთ-ერთ კოლმეურნეობაში ათი დღე უმუშავნია. იგი აღტაცებული გვიყვებოდა ამის შესახებ.

ლონდონიდან უკან გემით დავბრუნდით და დავათვალიერეთ ქალაქები კოპენჰაგენი, სტოკჰოლმი და ჰელსინკი...

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლის თავი

# ერთგული მეგობრები



შენიანის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა იუ ფენ-ინი ითვისებს ახალ ტექნიკას.



სიამინის უნივერსიტეტი.



სახალხო კომუნის „სინფუს“ წევრები ხეხილის ბაღში.

## მწერალი სამუშაო მაგიდასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა





პოლიკარპე კაკაბაძე უკვე ოცი წელიწადია ერთ დრამას წერს. დრამის მთავარი გმირი თბილისის დამაარსებელი ვახტანგ გორგასალია. დრამა ჩვეულებრივი მოცულობის იქნება — 60, 70 ნაბეჭდი გვერდი. ხელთნაწერი ფურცლების რაოდენობამ კი პ. კაკაბაძის საწერ მაგიდაზე უკვე ათასს გადააჭარბა.

— მე არ ვეკუთვნი იმ დრამატურგების რიცხვს, პიესებს რომ ერთი ხელის მოსმით, „სულმოუთქმელად" წერენ, — ამბობს მხცოვანი დრამატურგი, — უყოყმანოდ ვეთანხმები იმ მხატვარს, რომელმაც ერთხელ თქვა, ჩემი მთავარი ხელსაწყო საშლელიაო. ვახტანგ გორგასალის პიროვნებას და მის დროს უკვე იმდენი ქაღალდი ვუძღვენი, რომ ათამდე პიესას ეყოფოდა, მთავარი საქმე კი ჯერ გასაკეთებელია: ეს უზარმაზარი ვენახი უნდა მოვკრიფო, ავარჩიო საუკეთესო ყურძენი, დავწურო და იმდენი ღვინო დავაყენო, რამდენიც ერთ ადამიანს ერთ საღამოს დასჭირდება, — ვთქვათ, ერთი დოქი, თუ ამ დიდი ვენახის მთელმა ბარაქამ, ყველაფერმა საუკეთესომ რაც შიგაა, ამ ერთ დოქში მოიყარა თავი, ცუდი ღვინო არ უნდა გამოვიდეს, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი მომელის.

როგორც ცნობილია, ვახტანგმა სხვა რელიგიებს ქრისტიანობა ამჯობინა (თუმცა, ცნობილია კი ეს?), მაგრამ ეს მხოლოდ მისი პირადი ნება-სურვილის საქმე როდი იყო. საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვების ფესვები უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ, უნდა დადგინდეს ის მიზეზები, რომლებმაც ვახტანგის არჩევანი განსაზღვრეს. და შემდეგ ყველაფერი ეს ერთ დრამაში უნდა გადმოიცეს.

რა თქმა უნდა, ეს კოლოსალურ შრომას მოითხოვს, და ეს ერთი მიზეზია იმისა, რომ პ. კაკაბაძის მაგიდაზე ხელთნაწერების მთა აზიდულა.

არსებობს მეორე, არა ნაკლებ საგულისხმო და მნიშვნელოვანი მიზეზიც, საქმე იმაშია, რომ როგორც სხვა ერების, ისე ქართული დრამატურგიის თანამედროვე პრაქტიკაში თითქმის სრულიად გამორიცხულია ე. წ. მოარული სიუჟეტების გამოყენება.

წარსულის დიდი დრამატურგები თავიანთ სამწერლო მოღვაწეობაში თავისუფლად იყენებდნენ ცნობილ, აპრობირებულ სიუჟეტებს. არავის მოუვა აზრად ლიტერატურაში მათი ღვაწლისა და მნიშვნელობის დამცირება, მაგრამ ეს გარემოება მაინც საგრძნობლად უადვილებდა მათ მუშაობას.

— რასა წერთ თანამედროვე თემაზე?

— გამოგიტყდებით, ახალს არაფერს, მაგრამ ამ ფაქტიდან, რომ მე ახლა არაფერს არ ვწერ თანამედროვე თემაზე, ჩემის აზრით, კიდევ ერთი საინტერესო და საგულისხმო დასკვნის გაკეთება შეიძლება.

მე ახალი კაცი არა ვარ დრამატურგიაში. ჩემი „ყვარყვარე თუთაბერი" ოცდაათი წლის წინათ დაიდგა. თქვენ იცით პიესის ბედი. მასზე უფრო ადრეა დაწერილი „ლისაბონის ტუსაღები", რომელიც ჩვენმა კოტე მარჯანიშვილმა პირდაპირ გამომტაცა ხელიდან, ისე, რომ მე თვითონ პიესა დამთავრებულად არ მიმაჩნდა და არც გადამითეთრებია. „ყვარყვარეს" შემდეგ დავწერე კომედია თანამედროვე თემაზე — „კოლმეურნის ქორწინება". პიესას წარმატება ხვდა. თუ ყალბ მოკრძალებას გვერდზე გადავდებთ, შემიძლია გავიმეორო ის, რაც ყველამ იცის: კომედია მრავალი წლის მანძილზე იდგმებოდა საქართველოს თეატრებში, იგი შეიყვარა მაყურებელმა. მაქვს სხვა პიესებიც, რომლებიც არსად დადგმულა, თუმცა არც ის უთქვამს ვინმეს, ეს პიესები არ ვარგაო.

აქედან თითქოს ასეთი დასკვნა გამომდინარეობს, — რომ მე გამოცდილი დრამატურგი ვარ, და მხოლოდ კარგ პიესებს უნდა ვწერდე. მაგრამ „კოლმეურნის ქორწინების" შემდეგ დავწერე კიდევ ერთი პიესა თანამედროვე თემაზე. ჩემი „ციცინათელა" არც ერთ თეატრში არ დადგმულა. იგი დამიწუნეს. გამოგიტყდებით, ჩემთვის მოულოდნელი იყო პიესის მარცხი. შემდეგ მრავალჯერ მოვუბრუნდი „ციცინათელას" და დავრწმუნდი, რომ თეატრები მართალნი იყვნენ.

პიესის მთავარი გმირის სახე დაუმთავრებელია. იგი ჩაფიქრებული მქონდა, როგორც პატრიოტი ქალიშვილი. ციცინათელას ყველაფერზე უფრო ძლიერ ამ ქვეყნად სამშობლო უყვარს, და ყოველი მისი ნაბიჯი ამ გრძნობითაა ნაკარნახევი.

ციცინათელას სიყვარულს სამშობლოსადმი, მის პატრიოტიზმს უნდა გაევსო ეს ხასიათი და ამასთან უნდა გაენათებინა სხვა პერსონაჟთა ხასიათებიც. ამ გრძნობის სინათლეზე თანაბარი სიძლიერით უნდა გამოჩენილიყო არა მარტო კარგი ჩვენს ცხოვრებაში, არამედ ცუდიც. მაგრამ ვერ მივაღწიე იმას, რომ ციცინათელას სიყვარული სამშობლოსადმი საჭირო ძალით გამომეხატა. ამიტომ სცენაზე ბინდმა დაისადგურა. იქ თითქმის არაფერი ჩანს და ადამიანებს ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევთ.

დასკვნა ასეთია: გამოცდილ დრამატურგს მარცხი მოუვიდა, და ეს სხვებზე გვიან გაიგო.

დრამატურგს, ისევე როგორც ყოველ მწერალს, უნდა შეეძლოს თავისი ნაწარმოების სხვისი თვალებით წაკითხვა. არ შეიძლება, მხოლოდ მწერალი იყო, უნდა ერთსა და იმავე დროს მწერალიც იყო და მკითხველიც. და ყველაზე ძნელი საქმე მწერლისთვის ამ ქვეყნად საკუთარი ნაწარმოების სწორი წაკითხვაა.

კავკასიონის ქედის მწვერვალებს შორის ყველაზე ძნელი დასაპყრობი უშბაა. არა მარტო იმიტომ, რომ საერთოდ ძნელი მისადგომია, არამედ იმიტომაც, რომ მას ორი მწვერვალი აქვს. მწერლობა უშბაზე ლაშქრობაა. წელან გითხარით, თანამედროვე თემაზე არაფერს ვწერ-მეთქი. ახლა დავაზუსტოთ: ვფიქრობ „ციცინათელაზე". ეს პიესა ბოლომდე უნდა მივიყვანო.

...პოლიკარპე კაკაბაძის აივნიდან მთელი თბილისი მოჩანს. პოლიკარპეს უყვარს კუთხეში, ტახტზე ჯდომა და ფიქრი. ეს ტანმორჩილი, თმაშევერცხლილი კაცი ლიტერატურაზე ფიქრობს მუდამ, ამხანაგებთან საუბრისას, სეირნობის დროს, სასადილო მაგიდასთან. შინაურებმა ეს კარგად იციან. ან ვინ არ იცის ეს? ამიტომ ყველა აქ მომსვლელი მხოლოდ ლიტერატურაზე ფიქრობს და ლაპარაკობს.

— პატივცემულო პოლიკარპე, ქართველი მწერლებიდან ვინ იქონია ყველაზე დიდი გავლენა თქვენს შემოქმედებაზე?

— ნიკოლოზ ბარათაშვილმა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ასეა. მისგან ყველას შეუძლია ისწავლოს. ის ჩვენი უმაღლესი პოეტია. ასეთ სიმაღლეზე სხვა არავინ ასულა. დრამატურგია იგივე პოეზიაა, მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგები ხშირად პროზით წერენ. პოეზიის სული რითმა კი არ არის, არამედ პოეტური დამოკიდებულება სამყაროსადმი. ნიკოლოზ ბარათაშვილი უმაღლესია.

— გალაკტიონი?

—ო, ნიჭიერი იყო! დიდად ნიჭიერი!

და იწყება აუჩქარებელი, აზრითა და გონებამახვილობით აღსავსე ლექცია პოეზიაზე, პროზაზე, დრამატურგიაზე, ბარათაშვილზე, შექსპირზე, რუსთაველზე, ყველაზე, ვისაც რაიმე კარგი დაუწერია, და ყველაფერზე, რასაც პოეზია ჰქვია.

**რამაზ კობიძე**

---

# უცხოეთში ეცნობიან საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხებს

ქართველი ეთნოგრაფების ნაშრომები დიდი ხანია გასცდნენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და საკავშირო აღიარება ჰპოვეს. უფრო მეტიც, საქართველოს ეთნოგრაფიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხი ახლა უკვე უცხოელი მკითხველისთვისაც ცნობილი გახდა.

უცხოეთის სპეციალურ ორგანოებში ქართველი ეთნოგრაფები ხშირად აქვეყნებენ თავიანთ ნაშრომებს. 1956 წელს უნგრეთის ეთნოგრაფიული საზოგადოების მოამბეში დაიბეჭდა პროფ. გ. ჩიტაიას ნაშრომი „ქართული მევენახეობის ისტორიიდან". მისივე მეორე ნაშრომი „თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში)", რომელიც მოხსენებად იყო წაკითხული 1955 წელს აგრარული ეთნოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესზე ქ. ბერლინში, 1957 წელს დაიბეჭდა გერმანული ხალხთმცოდნეობის ინსტიტუტის მოამბის XIII ტომში. გ. ჩიტაიას გამოკვლევა „მთური მიწათმოქმედება კავკასიაში" გამოაქვეყნა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ („ეთნოგრაფიული შრომები", 1958 წ. ტ. VII).

ჩეხოსლოვაკიის აკადემიის ორგანოში „ჩეხოსლოვაკური ეთნოგრაფია" დაიბეჭდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ა. რობაქიძის სტატია „ჭიათურის მუშების ახალი ყოფა", ხოლო ამავე ორგანოში შარშან გამოქვეყნდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ვ. ბარდაველიძის წერილი „ხევსურული თემი".

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის დაკვეთით აკადემიურ გამოცემებში დასაბეჭდად გ. ჩიტაიას მომზადებული აქვს ნაშრომი „ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება საბჭოთა წყობილების 40 წლისთავზე", ხოლო ა. რობაქიძეს — „ახალი ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის შესახებ" და სხვ.

წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ეწყობა დიდი საერთაშორისო გამოფენა, სადაც ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებიცაა გაგზავნილი.

ქართული ეთნოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი ასეთი ნაშრომების გამოქვეყნება უცხოეთის ორგანოებში და სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებთან შემოქმედებითი კონტაქტი ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საქმეს.

**ვალერიან ითონიშვილი**

---




XIX საუკუნის პირველ მეოთხედში თურქებმა იგრძნეს, თუ არა, რომ მათს ორასწლიან ბატონობას სამცხე-ჯავახეთში ბოლო ელებოდა, უკანასკნელი ძალითა და ღონისძიებებით სცადეს საქმის გამოსწორება და ამ მხარის ქართულ მოსახლეობას მწარე დღე გაუთენეს. დაიწყო ახალი აყრა, გადასახლება და დარბევა. მაგრამ 1828 წ. აგვისტოში რუს-ქართველთა შეერთებულმა ლაშქარმა ახალციხის საფაშოს სარეზიდენციო კოშკის თავზე თურქული ნახევარმთვარის ნაცვლად რუსულ-ქართული ალმები აafრიალა და სამცხე-ჯავახეთში ოსმალთა ბატონობას ზღვარი დაუდო.

მიწყდა თუ არა ქალაქებისა და სოფლების დევნა და აკლება, გაიღვიძა ხალხის სულმა და მესხეთის დიდი კულტურის მიმქრალ შარავანდედს ძალუმი ხმა შეაშველა.

მესხეთის იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრივი აზრი, სარწმუნოებრივი შეხედულების მიუხედავად, საჭიროდ სთვლიდა ქართული ენისა და ქართული კულტურის განმტკიცებასა და მის გარშემო გაერთიანებას. ამ დიდი საქმის მეთაურებად გამოდიოდნენ ქართველი კათოლიკენი და თავიანთი საქმიანობით საუკეთესო მაგალითებს იძლეოდნენ. მათის აზრით ქართული ენის განმტკიცება შენარჩუნების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართულ წიგნს (ამ შემთხვევაში ტიბიკონს), რა ენაზე იქნებოდა იგი შესრულებული, რა ენაზე დაიწყებდა მრევლი კითხვას, წირვას და გალობას.

ამ ფიქრს გადაყოლილმა იოსებ ხუციანომ (ხუციშვილმა) 1836 წ. სრულიად დამოუკიდებლად ქ. ახალციხეში ჩამოასხა ლითონის ასოები და შექმნა თავისებური ორიგინალური ქართული სტამბა. ამ ფაქტს მესხეთის კულტურულად დაწინაურების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. მესტამბე იოსებ ხუციშვილი მკითხველისადმი მოხსენებაში წერს:

„ჩემს ძალაზე მეტი საქმე
დიაკვნობაშიდ ავსახე,
სადნობელი მადანისგან, წერვის
ასონი ჩავსახე.
საბეჭდავთ არ მენახა, ორი საქმე
გამოვსახე.
კურსი ვა[illegible]
ქაღალდზედა ასო ვსახე.
წამკითხველსა [illegible]
წიგნის [illegible] ნახე".

ამ სტამბაში იოსებ ხუციშვილმა ჯერ სასულიერო და შემდეგ საერო წიგნების ბეჭდვა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი შრომა დაკავშირებული იყო ბევრ უსიამოვნებასთან, მესტამბე-გამომგონებელი მოხსენების ბოლოს გვამცნობს: „სასჯელი ბევრი გავწიე, გვირგვინად მეეცი ერსაო". ჩვენს მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში მის სტამბაში დაბეჭდილი ოთხიოდე წიგნი დღემდეა შემორჩენილი. ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, რომ ამ დროს საქართველოში „თბილისის უწყებათა" ქართული სალიტერატურო ნაწილის გაუქმების შემდეგ, ქართულ ენაზე სტამბური წესით არაფერი იბეჭდებოდა და ხუციშვილის სტამბა ერთადერთი ქართული სტამბა იყო.

იოსებ ხუციშვილი არ ზოგავდა ძალასა და ენერგიას ქართული სწავლა-განათლებისათვის მესხეთში. ასე რომ მას საკუთარ ოჯახში ჰქონდა ორი სასწავლებელი ვაჟთა და ქალთა. ვაჟებს ასწავლიდა თვითონ, ხოლო ქალებს მისი ახლო ნათესავი ქალი თერე ხუციშვილი. სასწავლებელში იგი საკუთარ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს იყენებდა და მოსწავლეებს ურიგებდა სრულიად უსასყიდლოდ. ამ სასწავლებლიდან ბევრმა გაიკვლია გზა და ქართულ ისტორიოგრაფიაში სთქვა თავისი სიტყვა. მესტამბე გამომგონებელი წიგნებში სტოვებდა თავისუფალ ფურცლებს, რომელსაც შემდეგ საკუთარი ხელით ხატავდა და ჩუქურთმებითა და არშიებით აფერადებდა.

ხუციშვილის სტამბა ცარიზმის აგენტებმა გასული საუკუნის 80-იან წლებში მოსპეს, როდესაც სტამბაში საერო და მეტად „საეჭვო" წიგნების ბეჭდვა დაიწყო.

ი. ხუციშვილი დაბადებულა დაახლოებით 1797 წ. სოფ. ხიზაბავრაში, და გარდაცვლილა 1890 წელს. ვინმე მესხი ი. ხუციშვილის შესახებ წერს: „იგი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული. სიკვდილის ორი წლის წინათ მან თავისი ხელით გათხარა და მოამზადა საფლავი, როცა მოვკვდები აქ დამმარხეთო. და მართლაც იქ თავის ამოთხრილს საფლავში განისვენებს ნეტარხსენებული ჩვენი მესხ-ჯავახი ჰუტენბერგიო". ი. ხუციშვილის საფლავი დღეს დაკარგულად ითვლება. მისი მიკვლევა და დადგენა კი სრულიად იოლი საქმეა. იგი დასაფლავებულია ახალციხის კათოლიკეთა ჯვრის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან.

**შოთა ლომსაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსტა ხეთაგუროვის უცნობი ლექსი



კოსტა ხეთაგუროვის ავტოპორტრეტი

კოსტა ხეთაგუროვი იყო ხალხთა შორის მეგობრობისათვის მებრძოლი. განსაკუთრებით მჭიდრო იყო ეს მეგობრობა საქართველოს ისეთ მოწინავე ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ მ. ზ. ყიფიანი, ლ. ბოცვაძე, კომპოზიტორი დ. არაყიშვილი, სოფიო თარხნიშვილი და მრავალი სხვ.

პოეტის პატივისმცემელმა და მისმა უმცროსმა თანამედროვემ ნ. ი. კვეზერელ-კოპაძემ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს გადასცა ძვირფასი მასალები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ხეთაგუროვის მსოფლმხედველობის გასარკვევად.

ეს არის ა. ს. გედევანიშვილის ალბომი, სადაც მოთავსებულია მისი პატრონისადმი მიძღვნილი კოსტა ხეთაგუროვის ლექსები. ამ ალბომის საშუალებით ამიერიდან ცნობილი ხდება, თუ ვის მიეძღვნა კოსტას ის ფილოსოფიური ლექსი, რომელშიც შენიღბული ფორმით ნათქვამია საყოველთაო ბედნიერების შესახებ ამ ქვეყნად, როცა აიგება „ახალი ცხოვრების, განათლების, თავისუფლებისა და სიყვარულის ტაძარი, აღარ იქნება ჩაგვრა, ტანჯვა და ხოცვა-ჟლეტა".

დროთა მსვლელობით შეყვითლებული ფურცლები ვერ დაფარა დავიწყების ფერფლმა და ჩვენამდე მოაღწია ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერლის ამ ავტოგრაფმა.

ელისო მუზაზრია



ა. გედევანიშვილი

მე მომწონს, შენ რომ გამომცდელად ჩამყურებ
თვალში,
ამაოდ ცდილობ ჩემს ფიქრს ჩასწვდე, მიმიხვდე
რამეს,
როდესაც გეტყვი, იქნებ კიდეც ვხუმრობდი
მაშინ,
რომ მე დამღალა სიყვარულმა, ტანჯვამ და
ღამემ.

მე მომწონს შენი გამოხედვა ფიქრთა მთოველი.
გულწრფელი შიშიც, მეგობარო, ეჭვებიც შენი,
როდესაც გეტყვი—გულქვა არის კაცი ყოველი
და მათგან კეთილს, წმინდას, სათნოს
ნურასდროს ელი.

არ დაუჯერო ამ ჩემს სიტყვებს, ალხავსებს
წყევლით,
თვითაც არ მჯერა, სიცრუე თუ მალაპარაკებს,
პირიქით, გწამდეს, ჩვენ ყველანი, ვით ღვიძლი
ძმები,
დედამიწაზე ერთ საერთო ტაძარს ავაგებთ.

ტაძარს შეგნებულ ბრძოლის, შრომის, მზიურ
სინათლის,
სად არ იქნება ძალადობა, მტრობა ფარული,
დიდებულ ტაძარს სინდისის და წმინდა
სიმართლის,
თავისუფლების, განათლების და სიყვარულის.

თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა



ხეთაგუროვის ლექსის ავტოგრაფი
(ა. გედევანიშვილის ალბომიდან)

## ხალხის სიყვარული

### ბოზირბეკ ჯაბიევი

ხალხის უსაზღვრო სიყვარული! ამ სიტყვებით გვინდა დავიწყოთ საუბარი დიდი მოქალაქის, პოეტისა და მხატვრის — კოსტა ხეთაგუროვის შესახებ, რომელმაც თავისი მწარე ბედი დაუკავშირა მშობელი ქვეყნის არა ნაკლებ მწარე ხვედრს. მან გენიალური ქმნილებანი უანდერძა შთამომავლებს, დიდი სიყვარულის ღრმა კვალი დახტოვა მათ გულში.

ამის ბრწყინვალე გამოხატულებას წარმოადგენს კაბეთის კოლმეურნეთა მაგალითი. პოეტისა და მებრძოლის ათმეტრიანი ძეგლის მშენებლობას რიგითმა საბჭოთა ადამიანებმა მოახმარეს თავიანთი პირადი დანაზოგები, ძეგლის შექმნაში ჩააქსოვეს მთელი თავიანთი სიყვარული სახალხო გმირისადმი: კაბელებმა საკუთარი ხელებით აღმართეს ძეგლი, რომლის ავტორია მოქანდაკე ი. ძანტიატი, მუშაობას ხელმძღვანელობდა ლაგოდეხის რაიონის სოფელ არაშპერანის საშუალო სკოლის დირექტორი.

ძნელია ზედმეტად შეაფასო კაბელთა ასეთი მაგალითის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში. ეს კიდევ ერთი დიდი ფაქტია ხალხთა ლენინური მეგობრობისა. უნებურად გვახსენდება სრულიად საწინააღმდეგო ისტორიული ფაქტი.

გასული საუკუნის დასასრულს ოსეთის მთიან სოფლებში დაირხა ხმა: „საჭიროა თანხები „ირონ ფანდირის" — „ოსური ჩანგის" გამოსაცემად"... ხალხი დიდი სიხარულით გამოეხმაურა ამ მოწოდებას და ენთუზიასტებმა ფული შეაგროვეს. ყველა მოუთმენლად ელოდა წიგნის გამოსვლას. ხალხის ცხოვრებასა და ისტორიაში ეს უბრალო მოვლენა როდი იყო. „ირონ ფანდირის" ავტორის, ქვეყნის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუღალავი მებრძოლის — კოსტას სახელს იცნობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და მის საზღვრებს გარეთაც. „ოსური ჩანგის" მრავალ სიმღერას წიგნის გამოსვლამდე მღეროდნენ მწყემსები, გლეხები, მონური შრომით დაჩაგრული პროლეტარები. ხალხისთვის ცნობილი იყო ისიც, რომ მგზნებარე მომღერალი და ღარიბთა ინტერესების მამაცი დამცველი გადასახლებაში იმყოფებოდა, მეფის ხელისუფლებამ წაართვა სამშობლო და დააშორა მშობელ ხალხს.

„ირონ ფანდირი" მაინც დაიბეჭდა, მაგრამ სიხარული სულ მალე შესცვალა ღრმა მწუხარებამ: წიგნს თავისი შემქმნელის ბედი ეწია. მეფის ხელისუფალთა განკარგულებით „ოსური ჩანგი" დააპატიმრეს, ჟანდარმებმა მიიღეს ბრძანება, რომ დაეწვათ წიგნი, როგორც „მეტად აღმაშფოთებელი და ხელისუფლების საწინააღმდეგო შინაარსის" მქონე. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია ოსებს შორის. ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ „ირონ ფანდირმა" იხილა დღის სინათლე, მაგრამ იგი შესამჩნევად დამახინჯებული იყო მეფის ცენზურის წყალობით. წიგნის გამოცემასთან ერთად გაიზარდა კოსტას სახელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თავისი ხალხის მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ ენას, რომელმაც მთელი თავისი მჩქეფარე სიცოცხლე და ტალანტი ხალხის ბედნიერებას შესწირა.

კ. ლ. ხეთაგუროვი დაიბადა 100 წლის წინათ — 1859 წლის 15 ოქტომბერს, მთიან სოფელ ნარში, თავის ცნობილ პოემაში, „ობოლთა დედა", კოსტამ დახატა მშობლიური სოფლის დუხჭირი ცხოვრება. პოეტის მამა ლევან ხეთაგუროვი მეფის არმიის ერთგული მსახური იყო, მონაწილეობდა ყირიმისა და კავკასიის ომებში, მამაცობისათვის წარდგენილი იყო ოფიცრის ჩინზე. პატარა კოსტა შევიდა ნარის სამრევლო სკოლაში, სადაც მიიღო ორკლასიანი განათლება. იმ დროს მთებში წიგნი იშვიათი მოვლენა იყო და ბავშვმა შეიყვარა ხალხური სიმღერები და ზღაპრები.

მამის დამსახურება საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ სწავლას მოწყურებული ჭაბუკი სტავროპოლის გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში მიეღოთ, სადაც 1871-1881 წწ. მან დაამთავრა რეალური განყოფილება. ხატვის სიყვარულმა და რუსული ენის დაუფლების სურვილმა ხეთაგუროვი მთელ რიგ პედაგოგებთან დაამეგობრა. განსაკუთრებით დაუახლოვდა იგი შესანიშნავ მხატვარ-პედაგოგს ვ. ს. სმირნოვს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მომავალი მხატვრის ჩამოყალიბებაზე. კოსტას გიმნაზიის დროინდელი ნახატები წარდგენილი იქნა სრულიად რუსეთის ახალგაზრდა მხატვართა გამოფენაზე და დიდი აღიარება ჰპოვა. უფრო გვიან ხეთაგუროვი შედის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. კოსტამ გამოიჩინა მხატვარ-რეალისტის დიდი ტალანტი, მან საფუძველი ჩაუყარა ოსურ ფერწერას.

სტავროპოლისა და პეტერბურგის პერიოდი ხეთაგუროვის ცხოვრებაში არა მარტო უმაღლესი ცოდნის დაუფლების წლები იყო, იგი ჩამოყალიბდა როგორც ხალხის ინტერესების დამცველი მებრძოლი რევოლუციონერი. პუშკინისა და ნეკრასოვის, რეპინისა და სურიკოვის ქმნილებები იდეურ-შემოქმედებითი უნივერსიტეტი იყო მისთვის. ამ დიდ ადამიანთა ნაწარმოებებზე სწავლობდა იგი ხალხის სამსახურს. ა. ა. ფადეევი ამბობდა: „ჩვენ, რუსი მწერლები ვამაყობთ იმით, რომ კოსტას ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის იდეებმა".

ხალხის ცხოვრება, ღარიბთა ინტერესები, თავისუფლებისათვის ბრძოლა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების არსი იყო, მისი ენერგიისა და შთაგონების წყარო. სხვა ბედნიერება მან არ იცოდა, და უფრო მაღალი იდეალი მისთვის არ არსებობდა: „თეხლივით ვაბნევ პოეზიას სამყაროში, ხალხის გული კი ყანაა ჩემთვის, სადაც მწვანე ჯეჯილი უნდა ავაბიბინო". კოსტას ლექსები და სიმღერები დროშად დაჰქონდათ მთიელებს, რომლებიც რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში შეუბრალებლად სწვავდნენ ალდარების მამულებს. მთიელები და რუსები სერგეი კიროვისა და სერგო ორჯონიკიძის პარტიზანულ რაზმებში მღეროდნენ მის სიმღერებს. ეს იყო სამოქალაქო ომის წლები კავკასიაში.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედება ბრწყინვალე ფურცლად შევიდა საბჭოთა კულტურის საგანძურში, იგი საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხთა საერთო მონაპოვრად იქცა.



## ლეონარდო და ვინჩის უცნობი სურათი

ლენინგრადელმა ხელოვნებათმცოდნემ პროფესორმა მ. გუკოვსკიმ, ერმიტაჟის ფონდების გამოკვლევის დროს ყურადღება მიაქცია ერთ ნახატს, რომლის ავტორი უცნობი იყო და კვლევის შედეგად დაადგინა, რომ ნახატი დიდი იტალიელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის ყალამს ეკუთვნოდა.

გამოირკვა, რომ სურათი წარმოადგენს ერთ-ერთ წინასწარ გაკეთებულ ესკიზს ფლორენციის მოხატულობისათვის, რომელსაც ეწოდებოდა „ბრძოლა ანგიართან" და რომელიც სამწუხაროდ დაიღუპა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში.

უნიკალური აღმოჩენა საშუალებას იძლევა აღდგენილ იქნას უზარმაზარი კომპოზიციის მარჯვენა ნაწილი. მასზე ასახულია მხედრები, რომლებიც მიისწრაფვიან ბრძოლის ველის შუაგულისაკენ, სადაც ცხარე ბრძოლაა გაჩაღებული დროშებისათვის. მოხატულობის ეს ცენტრალური ნაწილი კარგადაა ცნობილი მუზეუმებში — დღემდე შემონახული სხვადასხვა მხატვრის მიერ გაკეთებული გრავიურებით და ჩანახატებით, სხვათა შორის რუბენსის მიერ XVI საუკუნეში გაკეთებული ნამუშევრებითაც.

## ლუი არაგონის ახალი პოემა

რამდენიმე ხნის წინათ გამომცემლობა „გალიმარმა" გამოაქვეყნა ლუი არაგონის პოემა „ელზა". ყოველკვირეული გაზეთი „ლეტრ ფრანსეზი" ათავსებს პოემის ნაწყვეტს „ელზას ოთახს", რომელიც დაწერილია პროზად თავისებური ერთმოქმედებიანი პიესის სახით. პიესა გათვალისწინებულია წასაკითხავად და არა სცენაზე წარმოსადგენად. იგი ლირიკული და ფილოსოფიური მსჯელობის ხასიათისაა. მეტად მდიდრულია და მოულოდნელი პოემის სახეები და შედარებები. ეს პოემა მოწმობს არაგონის გაზრდილ ოსტატობას.

## პიერ დექსის „ღრმა მდინარე"

გამომცემლობა „ჟულიარმა" გამოსცა ფრანგი პროგრესული მწერლის პიერ დექსის ახალი რომანი „ღრმა მდინარე". რომანის შინაარსი ეხება ომის უკანასკნელ დღეებს და ომის შემდგომ პერიოდს 1947 წლამდე. მოქმედებები ხდება ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში. რომანისტი აღწერს ომის საშინელებათაგან დასახიჩრებულ ადამიანთა ბედს. გაზეთმა „ლეტრ ფრანსეზმა" გამოაქვეყნა ნაწყვეტი რომანიდან, რომელსაც ეწოდება „ავტობუსი".

## დრაიზერის წერილები

გამომცემლობა „პენსილვანია იუნივერსიტი პრესში" გამოვიდა თეოდორ დრაიზერის მიმოწერის სამი ტომი. ამ შემთხვევის გამო ყოველკვირეულ გაზეთ „ნიუსუიკში" მოთავსებულია ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ დრაიზერი იყო ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი მწერალი: ლიტერატურულ ნაწარმოებთა გარდა მან დასწერა წერილების დიდი რაოდენობა და იყო მეტად გულისხმიერი კორესპონდენტი.

## ოთხ მილიონიანი ქალაქი— კატასტროფის საფრთხეში

უკვე რამდენიმე წელიწადია მექსიკის დედაქალაქის — მეხიკოს ოთხი მილიონიანი მცხოვრები კატასტროფის საფრთხეში იმყოფება. ქალაქის ცენტრში ნიადაგმა (1900 წლიდან) ზოგიერთ ადგილებში 3-დან 6 მეტრამდე დაიწია. შენობათა კედლებში ნახეთქები და ნაპრალები გაჩნდა. ქუჩების ზედაპირმა ტალღისებური ფორმა მიიღო: ზოგიერთი ცათამბჯენი შესამჩნევად გადაიხარა ვერტიკალური ღერძიდან; ხშირად ირღვევა საკანალიზაციო სისტემა.

როგორც გეოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენეს, ქ. მეხიკო მდებარეობს ვეებერთელა მიწისქვეშა ტალახოვან ტბაზე, რომელსაც ფარავს მიწის შედარებით თხელი ფენა. ეს ტალახოვანი ტბა შეიცავს 20%-დე მყარ ნივთიერებას — სახელდობრ, ვულკანურ ნაცარს. დანარჩენ 80%-ს წყალი შეადგენს. ამ „პუდინგზე" მდებარეობს დიდი ქალაქი თავისი 100 მეტრამდე სიმაღლის ცათამბჯენებით. ნაგებობათა დიდი სიმძიმის გამო მიწის ფენა სულ უფრო ღრმად იწნეხება ტალახში.

ამ წყლით ღარიბი ქალაქის მომარაგება ხდებოდა ნიადაგიდან ჭაბურღილებით წყლის ამოქაჩვით, რის შედეგადაც ტალახოვანი ტბა სულ უფრო მეტ წყალს ჰკარგავდა და ნიადაგიც უფრო მეტად იწევდა დაბლა. ამჟამად წყალი გამოყვანილია შორიდან და სასტიკად აკრძალულია ნიადაგიდან წყლის ამოღება. მიუხედავად ამისა, მეხიკო ყოველწლიურად დაბლა იწევს 25-დან 40 სმ.-დე. ქალაქის გადასარჩენად შედგენილია თამამი გეგმა. ქ. მეხიკოს მიდამოებში, მთებში, შეიქმნება ხელოვნური წყალსაცავი. ძლიერი საქაჩავებით იქ შეგროვილი წყალი დიდი დაწოლის ქვეშ — (200-დან 300-დე ატმოსფერო) შეყვანილი იქნება მიწისქვეშა ტბაში. ამ გზით სურთ შენარჩუნებული იქნას ნიადაგის არსებული დონე და შესაძლებელია დროთა განმავლობაში მოხერხდეს მისი ცოტაოდენი აწევაც. თეორიულად შესაძლებელია, აგრეთვე, რომ ნიადაგის სიღრმეში შეყვანილ იქნას ცემენტის ნარევი, რომელიც ვულკანურ ნაცართან შერევის შემდეგ ბეტონის სიმაგრეს მიიღებდა. მაგრამ ამისთვის საჭირო იქნებოდა ძალზე დიდი რაოდენობის ცემენტი, ასე რომ ამ პროექტის განხორციელებაზე ჯერ არ არის ლაპარაკი.

(ავსტრიული გაზეთი „ფოლკშტიმე")




ბიბლიოთეკა

# დედაქალაქში

ელექტრონული ბიბლიოთეკა



პირველ სექტემბერს პირველკლასელმა ნუკრი გიგაურმა გადასჭრა წითელი ბაფთა და თბილისის 46 საშუალო სკოლის 440 მოწაფემ სასწავლო წელი ბესიკის ქუჩაზე აგებულ ახალ შენობაში დაიწყო.







თბილისის წისქვილკომბინატთან აგებულია რესპუბლიკაში უველაზე დიდი ქარხანა კომბინირებული საკვებისა, რომელიც დღეში 150 ტონა საკვებს უშვებს მსხვილფეხა საქონლისა და ფრინველის გამოსაკვებად.



ქარხანა „თბილგაზაპარატის“ ამწყობი საამქროს ზეინკალი გ. ხარატიშვილი უკანასკნელად ათვალიერებს ქარხნის მიერ გამოშვებულ გაზით წყლის გასათბობ კოლონებს.

ფოტო ვასილ ჩერკასოვისა

ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა თბილისის ქარხანაში დაიწყეს კარლო ურუშაძის კონსტრუქციის ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხიანობის განმსაზღვრელი ხელსაწყოების გამოშვება. ამწყობი საამქროს მოწინავე ზეინკალს გ. მღებრიშვილს ეჭვიც არ ებადება, რომ ქარხანა შეასრულებს დავალებას და წლის ბოლოსთვის 1000 ახალ აპარატს გამოუშვებს.



ჭავჭავაძის პროსპექტზე აგებულია ტექნიკის რესპუბლიკური სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი, ნოკაუტი და... მაგნიტოფონი

მატჩი იტალიელი მოკრივის ჯიოვანი ნერვისა და ფრანგ სოვერო ჩიოკას შორის არასასიამოვნოდ დამთავრდა იტალიელისათვის, იგი ნოკაუტირებულ იქნა. მაგრამ ჩიოკამ და მისმა მწვრთნელმა გააპროტესტეს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ათი წამის დამთავრების გადათვლას და ბრძანებას „აუტს“, ადგილი ჰქონდა გონგის შემდეგ, რომელიც იუწყებოდა რაუნდის დამთავრებას, მსაჯმა კი ეს ვერ გაიგონა არაჩვეულებრივი ხმაურის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა სეკუნდომედრისტმა დაადასტურა დამარცხებულის და მწვრთნელის პრეტენზიების დასაბუთება, გადაწყვეტილება ნოკაუტის შესახებ მაინც ძალაში დარჩა.

მოხერხებულმა ბეიმმა — ჩიოკას მწვრთნელმა — კიდევ ერთი გასასამართლებელი საბუთი იპოვნა. მან მოძებნა რეპორტიორი, რომელიც გადასცემდა ამ მატჩის მსვლელობას რადიოთი, და მიიღო მისგან მაგნიტოფონის ფირი, რომელზედაც იყო აღბეჭდილი ჯერ გონგის დარტყმა, შემდეგ ანგარიში „ათი“ და „აუტი“.

საქმემ ახალი მიმართულება მიიღო, მაგრამ სასამართლომ (რომელსაც საქმე გადასცეს ჩიოკამ და მისმა მწვრთნელმა. მთელი საიდუმლოება ხომ იმაშია, რომ გამარჯვებულს მიეცეს ფულადი ჯილდო, როგორც ეს მიღებულია პროფესიულ კრივში) არ მიიღო მხედველობაში მიუდგომელი მოწმის ხმოვანი ჩანაწერის „ჩვენებები“.

ასე რომ, „ტექნიკის სიახლემაც“ სპორტში ვერ გაამარჯვებინა სამართლიანობას.

## ძვირფასი ნუთები

ცნობილია კანადელი ჰოკეისტი მორის რიჩარდი, რომელსაც „რაკეტასაც“ უწოდებენ, უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე პრაღაში, მიწვეული იყო როგორც საპატიო სტუმარი. რიჩარდის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ევროპის სპორტულმა პრესამ მის შესახებ საინტერესო ცნობა მოათავსა. გარდა იმისა, რომ „რაკეტა“ შაიბას გატანის უბადლო ოსტატია (თვითეულის გატანაში 100 დოლარს იღებს, ხოლო თუ მის მიერ გატანილი შაიბა მატჩში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, საფასური 5-10 ჯერ იზრდება), ამასთან იგი საკმაო დროს ატარებს საჯარიმო სკამზე. პროფესიულ ჰოკეიში ამ სკამზე ჯდომა დაკავშირებულია სპორტსმენისათვის არასასიამოვნო ფაქტებთან. ყოველი „გაცდენილი“ წუთისათვის მოთამაშე იხდის ჯარიმას. გამოანგარიშებულ იქნა, რომ რიჩარდმა გადაიხადა კლუბის სალაროში 3000 დოლარზე მეტი „ჯარიმა უხეშობისათვის“.

## უჩვეულო მატჩი

დანიის პატარა ქალაქის ონსილდის მცხოვრებლები მეტად უჩვეულო შეხვედრის მოწმენი გახდნენ. როდესაც მასპინძლები მსაჯის სასტვენის ხმაზე ფეხბურთის მოედანზე გამოვიდნენ, მოწინააღმდეგე გუნდი „ცერუმი“, ის-ის იყო მოვიდა სტადიონზე. მზად იყო მხოლოდ მეკარე ერიკ ოლსონი, რომელიც იძულებული იყო გამოსულიყო მოედანზე — წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდს წაგება ჩაეთვლებოდა. მსაჯმა ჩვეულებისამებრ გაათამაშა მხარეები. დაიწყო შეხვედრა. ბურთი თამაშში ოლსონმა შეიყვანა, მან ძლიერად დაარტყა ბურთი ტრიბუნისაკენ, თვითონ კი გაიქცა თავისი კარისაკენ. რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი თავგამოდებით იცავდა კარს ხელებითა და ფეხებით. როდესაც მისი ამხანაგები მოედანზე გამოვიდნენ ანგარიში იყო მხოლოდ 0:1, მაგრამ ათი მოთამაშის მოედანზე გამოსვლას მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია: „ცერუმმა“ წააგო შეხვედრა 0:4.









ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ო. თურქიამ რედაქციას შესთავაზა ფეხბურთის მატჩებზე გადაღებული ფოტოსურათები. ზემოთ დაბეჭდილი ფოტო გადაღებულია გასული წლის ფეხბურთის სეზონის ბოლოს, დანარჩენი ფოტოები გადაღებულია წელს. ჩვენის აზრით ამ სურათებს კომენტარები არ ესაჭიროება. იმედი გვაქვს რომ თბილისის დინამოელთა კარგი თამაში ამიერიდან საშუალებას აღარ მისცემს ფოტოკორესპონდენტებს გადაიღონ ტრიბუნებზე ჩაძინებული მაყურებლები.

ფოტო ოთარ თურქიასი

# ჭადრაკი

თეთრები: საერთაშორისო დიდოსტატი **პახმანი**. შავები: საერთაშორისო ოსტატი **ზიტი**.

**(გამარჯვებულის კომენტარიებით)**
**(ქ. ვენა 1959 წ.)**

**1. c4, e6; 2. მc3, d5; 3. d4, მf6; 4. მf3, კe7; 5. კg5, h6; 6. კh4, 0—0; 7. e3, b6;**

თეთრებმა პირველი სვლით (1. c2—c4-ით) დაიწყეს „ინგლისური" დასაწყისი, ხოლო შავების უპრეტენზიო პასუხის შემდეგ თამაში გადავიდა კარგად ცნობილ „ორტოდოქსულურ" დაცვაში.

8. ლc2, ... ეს სვლა ვენის მოჭადრაკეთა რჩეული გაგრძელებაა.

8. ... კb7? უმჯობესი იყო c5!..

9. კ:f6, კ:f6; 10. e:d5, e:d5; 11. 0—0—0, მd7; 12. მფb1, ეc8; 13. h4, c5; 14. g4, c:d4; 15. e:d4, g6; 16. g5, h:g5; 17. h:g, კg7; 18. ლh3, მb8; 19. კg2, ეe8; 20. მe5!.. არ შეიძლება ამ მხედარში მავუჯრედოვანი კუს მიცემა, რადგან მაშინ შავი მეფის ისედაც ცუდი (გახსნილი) პოზიცია კატასტროფულად დასუსტდებოდა. 20. ... ლ:g5; 21. კ:d5, კ:d5; 22. მ:d5, ლf5+; ამ ქიშის მიზანია შავი ლაზიერის e6-ზე გადაყვანა თავდაცვის მიზნით. 23. მფa1, მc6; 24. f4, მa5; 25. ლa3, ლe6; 26. მc3, ლe7; 27. ლd3, მc6; 28. მe3—g4, მb4; 29. ლb3, ეed8?!?



ეს სვლა საშუალებას აძლევს თეთრებს ჩაატარონ ეგრეთწოდებული „უეცარი დარტყმის" ლამაზი კომბინაცია.

მკითხველს ვთხოვთ თვით იპოვოს გადაწყვეტა.


გარეკანის პირველ გვერდზე: „პირველი მტევანი"
(სოფ. ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" წევრი დოდო სეხნიაშვილი)

ფერადი ფოტო გ. თიკანაძისა

მეოთხე გვერდზე: ბორჯომის ხედი.

ფოტო თ. არჩვაძისა


— მოკითხვა შენი სკოლის ამხანაგ ბაიერისაგან, — უთხრა კარლს ნაცნობმა.

— ვინ არის ბაიერი, მე ასეთს არავის ვიცნობ, — გაიოცა კარლმა.

— დაბალი, სქელი, გრძელწვერა; შენი თანაკლასელი ყოფილა. — მიახვედრა ნაცნობმა.

— ჩვენ კლასში გრძელწვერა არავინ გვყოლია, — მიუგო მან.

* * *

— მერე და ერთგული კია ეს შენი ძაღლი? — ეკითხება მყიდველი გამყიდველს.

— შემიძლია სრული გარანტია მოგცე; სამჯერ გავყიდე და სამჯერვე უკან დამიბრუნდა!

* * *

პატარა ჰანსი უკვე სამი წლის გახდა, დედას უნდა რომ ფოტოგრაფმა კარგი სურათი გადაუღოს მის ბიჭუნას.

— მოდი, ფოტოგრაფს სურათი გადავაღებინოთ და შემდეგ კი გავადიდებინოთ!

— გავადიდებინოთ? ეს ხომ ძალზე ძვირი დაგვიჯდება, უმჯობესია რამდენიმე წელიც დავიცადოთ, ამასობაში ჩვენი ჰანსი ისედაც გაიზრდება!

* * *

— ფრიც, რატომ უუვები გეთაუვა უველას, თითქოს იმისათვის შემირთე, რომ გემრიელი სადილების დამზადება ვიცოდე. მე ხომ კარტოფილის მოხარშვაც კი არ შემიძლიან ხეირიანად?

— კი, მაგრამ თავი ხომ უნდა გავიმართლო რაიმეთი?

* * *

— რა ამბავი აქვთ ამ ჩვენს მეზობლებს ზემო სართულში? ერთი აირბინე და ჰკითხე ხომ არ გაგიჟდნენ?

— პასუხსაც დაველოდო?



— ჯონ, შენ აკი ამბობდი ამ ტყეში დათვები იცისო!

გასწორება — № 9-ში დაბეჭდილი მოთხრობა „ჩემო ჟირილაინ!" ეკუთვნის გაიოზ ნიშნიანიძეს.


რედაქტორი გრ. აბაშიძე
პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | ჟურნალი გააფორმა ნ. მალაზონიამ. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. **ფასი 3 მან.** გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/X-59 წ. გამომც. № 173. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.
ტირაჟი 23.050. შეკ. № 1157, უე 06592

**Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша"** (на грузинском языке) **Издательство ЦК КП Грузии**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# 50 წლის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოცდაათზე მეტი წელი გავიდა, მას აქეთ რაც ნაძალადევში, ერთ პატარა ფარდულში სცენის მოყვარეებმა ვასო სადუნაშვილმა, გაბო გაბინაშვილმა, ივანე ცხინვალელმა, ალექსანდრე არეშიძემ და სხვებმა ა. ცაგარლის „ჭკუისა მჭირს" დადგეს. ქალის როლის შემსრულებელი ძრავინ აღმოჩნდა და ნატოს როლში ალექსანდრე ლოლაძე გამოვიდა... სახლიდან მოტანილი ნივთები, ნაცნობ-მეგობრებისაგან ნათხოვი ტანსაცმელი და რეკვიზიტი... მაყურებლები სახლიდან წამოღებულ სკამებზე სხედან და აღტაცებით შეჰყურებენ მეზობლების, ნაცნობ-ამხანაგების უპრეტენზიო, მაგრამ გულწრფელ თამაშს...

ასე დაიწყო მუშათა უბანში პირველი მუშათა თეატრის, ჭეშმარიტად სახალხო თეატრის წარმოდგენები...

მაყურებელმა შეიყვარა თავისი თეატრი...

დასს ახალ-ახალი მოყვარულები ემატებოდა, ამ პატარა სცენას ვინ იცის რამდენი ნიჭიერი მსახიობი აღუზრდია. აქ დაიწყეს თავის სასცენო გზა ქართული თეატრის სახელოვანმა ოსტატებმა ნიკო გოცირიძემ, ვასო გოძიაშვილმა, ვიქტორ ნინიძემ... ახლა ეს პატარა ფარდული შესცვალა ექვსას ადგილიანმა კეთილმოწყობილმა კლუბმა შესანიშნავი თეატრალური გარდერობით და მრავალი დეკორაციებით.

ელმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნის მუშებში სცენის სიყვარული ტრადიციად იქცა..

პლეხანოვის სახელობის კლუბში წარმატებით მუშაობს ქართული თეატრალური კოლექტივი, მისი რეპერტუარი მრავალფეროვანია. ამ დასში აღზრდილი ნიჭიერი რეჟისორი არჩილ მაჩაბელი ხელმძღვანელობს თეატრალურ კოლექტივს. ამას წინათ დადგმულმა ბ. ლავრენიევის პიესამ „რღვევამ" არა მარტო მაყურებლები მოიყვანა აღტაცებაში, პრესამაც დადებითად შეაფასა მუშა-მოსამსახურეების ეს ნამუშევარი.

ახლახან დრამატულმა კოლექტივმა თავისი ნიჭი და ძალა სუმბათაშვილის „ღალატის" დადგმაზე სცადა.

ელმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნის მოწინავე ზეინკალმა, სცენის ძველმა მოყვარემ დავით ჯანჯალაშვილმა, მაყურებელი მოხიბლა ანანიას როლის შესრულებით. ახლა დავითი აკაკი გეწაძის ისტორიულ დრამაში „სისხლიანი ცრემლები" რაჭის ერისთავის როსტომის როლზე მუშაობს... მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობენ საამქროს ოსტატი შაქრო ნასყიდაშვილი, აკაკი ლაფაჩი, ბორის ხარაბაძე, გიორგი ზარიძე, ომარ პიპინაშვილი.

ლიანა ზანგურაშვილი ბავშვობიდანვე მონაწილეობას იღებს მუშათა თეატრის წარმოდგენებში. ლიანამ შარშან საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ სცენა არ მიუტოვებია, პირიქით პირველი დიდი როლი შეასრულა — „ღალატში" დიდი წარმატებით ითამაშა რუქაიას როლი.

სახალხო თეატრის ახალგაზრდობას შეემატნენ ქარხანა „პლასტმასის" მუშა იზოლდა აბაზაძე, თამარ სოხაძე, მაგრამ არც სცენის ძველი მოყვარულები ივიწყებენ თავის ძველ სცენას, — ოთხმოც წელს მიაღწიეს ვასო სადუნაშვილმა, გაბო გაბინაშვილმა და ივანე ცხინვალელმა. ორმოცდაათი წლის წინათ დადგმული თავისი პირველი სპექტაკლის „ჭკუისა მჭირს" გახსენება განიზრახეს... სადუნაშვილი ისევ გრიქულას როლს ამზადებს, ცხინვალელი—ბუღდანის, გაბინაშვილი ბოქაულის როლს, მოხუცი სცენის მოყვარულები ისეთივე მონდომებით თამაშობენ, როგორც ამ ორმოცდაათი წლის წინათ.

ქეთევან ხახუტაშვილი



რეჟისორი არჩილ მაჩაბელი მოქმედების დაწყების წინ დარიგებას აძლევს მსახიობ ო. პიპინაშვილს, რომელიც პიესა „ღალატში" ასრულებს ერეკლეს როლს.



ითარზევი — ბ. ხარაბაძე, გაიანე — ი. აბაზაძე



ვასილ სადუნაშვილი (მარცხნივ) და ივანე ცხინვალელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა